ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 10 ოქტომბერი, 2016 №240 (7166) ფასი: 50 თეთრი

## საქართველომ პირველი ქულა მოიპოვა



გუშინ, 9 ოქტომბერს, საქართველოს საფეხბურთო ნაკრები კარდიფში უელსის ნაკრებს შეხვდა.

ეს მსოფლიოს პირველობის დ შესარჩევი ჯგუფის მესამე ტურის მატჩი იყო.

წინა ორი შეხვედრა საქართველომ წააგო – თბილისში ავსტრიასთან 1:2, დუბლინში კი ირლანდიასთან 0:1.

ბუნებრივია, რომ გუშინდელ მატჩში ფავორიტი მასპინძელი უელსი იყო.

ეს შეხედულება შეხვედრის დასაწყისშივე განმტკიცდა, როდესაც მე-10 წუთზე გარეთ ბეილმა ანგარიში გახსნა – 1:0.

მიუხედავად ამისა, საქართველომ დამაჯერებლად ითამაშა და მეორე ნახევარში თორნიკე ოქრიაშვილმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო – 1:1. ეს 57-ე წუთზე მოხდა.

ამის შემდეგ მეტი გოლი აღარ გასულა და მატჩიც ფრედ 1:1 დასრულდა.

3 მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრებს 1 ქულა აქვს.

# გიგა ბოკერია: „ჩვენ დავიცავით ნახევარი მილიონი ხმა“

გვ.2



## მამუკა მდინარაძე: „ქართული ოცნება“ ერთადერთი გულწრფელი ძალაა და ამიტომაც გავიმარჯვეთ“



„მე მიკვირს ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლის, თუმცა პატივს ვცემ“

გვ.3



## „ქვეყნისთვის სახიფათოა ერთი პარტიის ხელში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოქცევა“

გვ.2

## ჯონდი ბაღათურია: „ახალი პარლამენტი 4 წელი ვერ გაძლებს“

გვ.5



## ვიქტორ დოლიძე: „თავისუფალი დემოკრატები ქუჩის აქციებს არ ვაპირებთ“

გვ.4



## „ამერიკა ნაციონალებს სიტუაციას არ აარევინებს“

ზაალ კასრელიშვილი: „სააკაშვილმა გარანტიები მიიღო“



გვ.4

## დავით უსუფაშვილი: „დიახ, ჩვენ ცოტანი ვართ!“

გვ.3



ISSN 1987-9385

## სოსო მანჯავიძე: „ნაციონალებმა არაადეკვატურად მაღალი პროცენტები მიიღეს“



გვ.6

## კახა კუკავა: „არჩევნების შედეგები სააკაშვილმა და ივანიშვილმა ერთად დაგეგმეს“



გვ.5

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ქვეყნისთვის სახიფათოა ერთი პარტიის ხელში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოქცევა“

შორენა მარსაგიშვილი

ოპოზიცია არჩევნების შედეგებს აპროტესტებს და ქუჩის აქციებით იმუქრება. შალვა ნათელაშვილი „ოცნებისა“ და ნაციონალების გარიგებაზე საუბრობს და ითხოვს, რომ არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდეს.

**შალვა ნათელაშვილი:**

– ოლიგარქმა ივანიშვილმა, როგორც გვპირდებოდა, თავზეხელაღებულად გააყალბა 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, მოარგო თავის გემოვნებას პარლამენტი და აპირებს განუსაზღვრელი დროით ჩვენს მართვას. გამოსავალი ამ სიტუაციიდან კიდევ არსებობს, ჩაშლილად გამოცხადდეს ჩატარებული არჩევნები და გაიმართოს ორი თვის თავზე ხელახალი არჩევნები, როგორც ამას ითვალისწინებს კანონმდებლობა.



მისი აზრით, სადეპუტატო რამდენიმე მანდატის გამო გადმოგდებულ ანკესს არ ჩამოეკიდება არავინ და მისცემს საშუალებას ქვეყანას, რომ გათავისუფლდეს ოლიგარქის კლანჭებისგან.

– ვიმეორებ, ივანიშვილის მმართველობის გაგრძელება იქნება საქართველოს დასასრული, – დასძინა ნათელაშვილმა.

არჩევნების შედეგებით უკმაყოფილოა პატრიოტთა ალიანსი, რომელმაც არჩევნებში მესამე გუნდური ადგილი დაიკავა.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი აცხადებს, რომ ისინი არ შეეგუებიან ამ შედეგს და ქუჩაში გამოვლენ.

– ჩვენ გავალთ ქუჩაში, დავიწყებთ აქციებს, რასაც გადაჰყვება ხელისუფლება, რომელიც ისევ ეფერება ნაციონალურ მოძრაობას, – აცხადებს ინაშვილი.



## ნინო ბურჯანაძე: „ოცნება“ ნაციონალებს გაურიგდა“

ხელისუფლებას ნაციონალებთან გარიგებაში ადანაშაულებს დემოკრატიული მოძრაობაც. პარტიის ლიდერის განცხადებით, არჩევნები კოჰაბიტაციურ რეჟიმში წარიმართა და გაყალბდა.

– ცესკოს მიერ გამოცხადებული შედეგები პრაქტიკულად სრულ თანხვედრაშია ნათელმხილველი ბიძინა ივანიშვილის პროგნოზებთან, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, საპარლამენტო არჩევნები, ისევე, როგორც ბოლო ოთხი წლის პოლიტიკური ცხოვრება, „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის სრული კოჰაბიტაციის პირობებში წარიმართა.

– ეს არის კოჰაბიტაცია და გარიგება ქართველი ხალხისა და საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ. ამ ორმა პოლიტიკურმა ძალამ ტოტალური გაყალბებისა და გარიგების გზით მიითვისა ოპოზიციური პარტიების ხმების, მათ შორის ჩვენი პარტიის ხმების ძალიან დიდი ნაწილი, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

მისი აზრით, სააკაშვილმა არჩევნების შემდეგ გადააგდო ბიძინა ივანიშვილი.

– მან ჯერ ხელში ჩაიგდო არარეალური, ქართველი ხალხისთვის შეურაცხმყოფელი 26% ნაციონალური მოძრაობისა და, როგორც კი შედეგების გამოქვეყნება დაიწყო, საკუთარ მომხრეებს მოუწოდა, არ დაკმაყოფილებულიყვნენ და მოეთხოვათ უკვე პირველი ადგილი. ეს ნაციონალური მოძრაობის სტილია, – აღნიშნა დემოკრატიული მოძრაობის ლიდერმა.

მისივე თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალურმა მოძრაობამ ამ არჩევნებზე გაიმეორეს იგივე სქემა, რომელიც განხორციელებულ იქნა საპრეზიდენტო არჩევნებზე.

– მაშინ ჩემ მიერ მიღებული ბიულეტენების დაახლოებით 20% უნდა დამატებოდა ჩემივე ბიულეტენების 10%-ს, რაც მეორე ტურის გარანტია იყო, თუმცა ისინი „ოცნებამ“ და ნაციონალებმა საკუთარი კანდიდატების ბიულეტენებზე გადაანაწილეს, – გაიხსენა ბურჯანაძემ.

ის ამბობს, რომ ხელთ აქვს 3.600 ოლქიდან მხოლოდ 6 ოლქის – საბურთალოს მონაცემები, ოქმები და არ არის დაბალანსებული არცერთი მათგანი.

– ყველა ამ ოქმში იმაზე მეტი ხმაა დაფიქსირებული, ვიდრე ოქმში აღრიცხული იმ უბნის ამომრჩეველია მისული. ეს ოქმები პირდაპირი საფუძველია ამ ოლქის შედეგების გაუქმების და ასეთი არის პრაქტიკულად ყველა ოლქში, – განაცხადა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ.

არჩევნების შედეგებით უკმაყოფილოა რესპუბლიკური პარტია, თუმცა რესპუბლიკელები გაყალბებაზე არ საუბრობენ.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ვახტანგ ხმალაძე ამბობს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია არ იძლევა იმის თქმის საბაბს, რომ არჩევნები გაყალბდა.





## ირმა ინაშვილი: „ამას ხელისუფლება გადაჰყვება“

– „ქართული ოცნებაც“ და ნაციონალური მოძრაობაც ცდილობდნენ წარმოეჩინათ მდგომარეობა ისე, რომ მხოლოდ ეს ორი პოლიტიკური ძალაა, რომელთა შორისაც არის კონკურენცია და მეტი სხვა არ არსებობს, თან ისე, რომ ისინი იყვნენ ერთმანეთის მტრები.

ორივე ცდილობდა საზოგადოების პოლარიზებას. ვფიქრობდი, რომ საზოგადოება შეძლებდა სხვა პოლიტიკური ძალის დანახვას, თუმცა ასე არ აღმოჩნდა. საზოგადოებრივი აზრი გაიყო, ფაქტობრივად, ორად და დარჩა მცირე ნაწილი საზოგადოებისა, რომელმაც სხვა სუბიექტს დაუჭირა მხარი, – განაცხადა ხმალაძემ.

მან იმ საფრთხეებზე ისაუბრა, რომლებიც, შესაძლოა, პარლამენტში მმართველი პარტიის საკონსტიტუციო უმრავლესობით შესვლამ გამოიწვიოს.

– უაღრესად სახიფათოა ქვეყნისთვის ერთი პოლიტიკური ძალის ხელში უმრავლესობის მოქცევა და მით უფრო, თუ ეს უმრავლესობა იქცა საკონსტიტუციო უმრავლესობად. მთავარი საშიშროება გახლავთ ის, რომ ასეთ დროს უჩნდებათ განცდა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. ამის მწარე მაგალითები გვაქვს ამ 26-წლიან პოლიტიკურ წარსულში, – ამბობს ხმალაძე.

# გიგა ბოკერია: „ჩვენ დავიცავით ნახევარი მილიონი ხმა“

შორენა მარსაგიშვილი

9 ოქტომბერს ნაციონალები მილოცვების მისაღებად ემზადებოდნენ. ამის შესახებ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა მიხეილ მაჭავარიანმა არჩევნების წინა დღეებში განაცხადა. არჩევნების შემდეგ მილოცვების მიღების ნაცვლად მათ საგულე საშუალებების მიღება დასჭირდათ.

არჩევნების შედეგების გაპროტესტება მათ იმ წუთიდან დაიწყეს, რაც ეგზიტპოლები გამოცხადდა. პარტიის საარჩევნო შტაბის უფროსი ნიკა მელია საათში ერთხელ მართავდა პრესკონფერენციას და დარღვევებზე საუბრობდა, ამასთან, პირობას დებდა, „ოცნების“ ღამის კოშმარი ვიქნებიო. ეტყობა, ამან რაღაც გავლენა მაინც იქონია ხელისუფლებაზე და ერთ მეოცნებე მაჟორიტარობის კანდიდატს ნაადრევად მოუხდა შამპანურის დალევა.

ღამის კოშმარის გარდა, მელია „ოცნებას“ რევოლუციასაც დაჰპირდა. რევოლუცია დაუანონსა არჩევნების მეორე დღეს ხელისუფლებას გიგა ბოკერიამაც.



საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ბოკერიამ ამომრჩევლებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

– ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რაც წინ უძღოდა არჩევნებს, დაწყებული იმით, რომ ლიდერები არიან ციხეში, იყო ძალადობა და ა.შ. ჩვენ არ ვთვლით, რომ ეს არჩევნები იყო თავისუფალი ნების გამოხატვის შედეგი. ეს არ იყო კონკურენტუნარიანი არჩევნები. ეს იყო უტიფრად, დაშინებისა და ამომრჩევლის ნების გატეხის მცდელობით ძალაუფლების შენარჩუნება ივანიშვილის მხრიდან. ჩვენ გვაქვს, სავარაუდოდ, 500.000 ხმა, რომლის დაცვაც შევძელით, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

მისივე თქმით, პარტიაში უკვე დაწყებულია კონსულტაცია, რომელიც მომავალ სამოქმედო გეგმას ეხება და გარკვეულ დროს საჭიროებს.

კონსულტაციები პარტიაში საკმაოდ დიდი ხანი გაგრძელდა. სამოქმედო გეგმის შესათანხმებლად ისინი დახურულ კარს მიღმა შეიკრიბნენ.

როგორც შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებს ნაციონალური მოძრაობის წევრმა კობა ხაბაზმა განუცხადა, არჩევნები იყო სამარცხვინო.



– სამარცხვინო საარჩევნო კამპანია ჩაატარა საქართველოს ხელისუფლებამ და მეორე ტურში გაყოლა იქნება ამის აღიარება. მე დავაფიქსირებ ჩემს პოზიციას, ეს იყო ყველაზე ბინძური არჩევნები, რაც საქართველოში ჩატარებულა, – განაცხადა კობა ხაბაზმა.

არჩევნებს სამარცხვინოს უწოდებს გია ბარამიძეც. ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ამბობს, რომ ისინი ბრძოლის ყველა კანონიერ ფორმას გამოიყენებენ.

◆ ◆ ◆

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ნაციონალურ მოძრაობას პარლამენტში, სავარაუდოდ, მინიმუმ 27 მანდატი ექნება.

პარლამენტში შევლენ: დავით ბაქრაძე, სანდრა რულოვსი, ელენე ხოშტარია, რომან გოცირიძე, ნიკანორ მელია, გიორგი ტუღუში, ოთარ კახიძე, სალომე სამადაშვილი, ირაკლი აბესაძე, სერგი კაპანაძე, სერგო რატიანი, გიორგი კანდელაკი, ლელა ქებურია, აკაკი ბობოხიძე, გიგა ბოკერია, თენგიზ გუნავა, ირმა ნადირაშვილი, მამუკა ჩიქოვანი, თინათინ ბოკუჩავა, გიორგი თევდორაძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ლაშა დამენია, ხათუნა გოგორიშვილი, ნიკოლოზ ნაყოფია, კობა ნაყოფია, რამაზ ნიკოლაიშვილი და ზაზა კედელაშვილი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა მდინარაძე: „ქართული ოცნება“ ერთადერთი გულწრფელი ძალაა და ამიტომაც გავიმარჯვეთ“

## „მე მიკვირს ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლის, თუმცა პატივს ვცემ“

ნათია ხურცილავა



„ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი საბურთალოს მე-4 საარჩევნო ოლქში მამუკა მდინარაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არჩევნებსა და მის შედეგებს აფასებს.

***— ბატონო მამუკა, მოელოდით ამ შედეგებს? „ქართული ოცნებისთვის“ რამდენად არის მიღებული შედეგები დამაკმაყოფილებელი?***

— უფრო მაღალ პროცენტულ მაჩვენებელსაც ველოდი. ჩემი ეს მოლოდინი გამომდინარეობს იმ განწყობებიდან, რომლებსაც ადამიანებისგან პირადად ვისმენდი მთელი ამ ხნის განმავლობაში. ამ კამპანიის პერიოდში 7-8 ათასამდე ადამიანს შევხვდი. კამპანიის დასაწყისში არც კი მეგონა, თუ ამხელა მუხტი და იმედიანი განწყობა იყო.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ მასმედიიდან გარკვეული ნეგატივი მოდიოდა, თითქოს ხალხში სულ სხვა განწყობებია, მაგრამ, პირადად როდესაც ვხვდებოდი ადამიანებს, მივხვდი, რომ მათ რეალური განწყობა აქვთ. ისინი ხედავენ პროგრესს და რეალურად აფასებენ შესაძლებლობებსაც, თუმცა მე არ ვიტყვი, რომ ადამიანები ვერ ხედავენ შეცდომებს ან ამაზე თვალი აქვთ დახუჭული.

ასე ნამდვილად არ არის. ისინი ხედავენ ყველაფერს და თავის სახელსაც არქმევენ, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ არ დაუშვია ისეთი შეცდომა, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობის იქნებოდა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ვერ მოინელებდა, განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან.

***— რატომ გაიმარჯვა კვლავ „ქართულმა ოცნებამ“? ამ გამარჯვების მთავარი ფაქტორი რა იყო?***

— ადამიანები ქუჩაში მხვდებოდნენ და მეუბნებოდნენ, რომ „ქართული ოცნება“ ერთადერთი გულწრფელი ძალაა და ამიტომაც გავიმარჯვეთ. ეს იყო მთავარი მიზეზი, ასევე ის შეკრული და ერთიანი გუნდი, რომელიც ნამდვილად არის პროფესიონალებით დაკომპლექტებული და ამას ნახავს ჩვენი ამომრჩეველი მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში.

ასევე ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ ცივილიზებული, დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნები ჩაგვეტარებინა, განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, რომელიც ამომრჩეველს არჩევნებს ჰპარავდა. ეს ყველაფერი ერთობლიობაში გახდა მიზეზი, რატომაც მოგვანიჭა უპირატესობა ამომრჩეველმა.

ჩვენი ამოცანა იყო, რომ დემოკრატიული არჩევნები ჩაგვეტარებინა, რათა ერთხელ და საბოლოოდ წარსულისთვის ჩაგვებარებინა ის ცუდი გამოცდილება, რომლითაც გვიცნობდა დასავლეთი, სამწუხაროდ. 8 ოქტომბრის არჩევნები იყო პირველი საპარლამენტო არჩევნები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რომელიც ხელისუფლებისგან ჩაურევლად, თავისუფლად და გამჭვირვალედ ჩატარდა.

***— თქვენი კონკურენტები, მაგალითად, ნაციონალური მოძრაობა, ასე არ ფიქრობს.***

— მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ერთი ხმაც კი არ დაკარგულა, რომელიც ყუთში ჩავარდა, ყველა თავის ადრესატს მიუვიდა. არჩევნებს ნებისმიერ ქვეყანაში ახლავს გარკვეული ვნებათაღელვა და მცირედი დარღვევები, ამას ვერ გავექცევით, მთავარია, ამან პროცესებზე ვერ მოახდინოს გავლენა. მე ხომ ძალიან კარგად ვიცი, რა განწყობა იყო გუნდში.

***— და რა განწყობა იყო?***

— რომ ეს არჩევნები დემოკრატიულად ჩაგვეტარებინა და რეალობა ასახულიყო, არცერთი ხმა არავის არც დაჰკლებოდა და არც მომატებოდა. მიხარია, შინაგანად ბედნიერი ვარ, რომ გუნდში ვისმენდი შიდა საუბრებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავამკვიდროთ დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნების ტრადიცია ჩვენს ქვეყანაში, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია და ამას გავაკეთებთ, რაც უნდა იყოს. ასეთი საუბრების მოსმენის შემდეგ ნამდვილად ვიყავი ხოლმე ამაღლებულ განწყობაზე.

***— არჩევნების დღეს მარნეულის საარჩევნო ოლქში პროვოკაციის მცდელობა იყო, ასევე სამეგრელოს ერთ-ერთ ოლქში მოხდა უბნის დარბევა. ამას როგორ აფასებთ?***

— ეს ფაქტები თავად მეტყველებს იმაზე, რომ მმართველ ძალას, „ქართულ ოცნებას“ არაფერში აწყობდა სიტუაციის ასე დაძაბვა. ყველაფერი კადრებზე ჩანს, ყველაფერი არის ნათელი, თუ ვინ და როგორ ცდილობდა დემოკრატიული და თავისუფალი არჩევნების იმიჯის გათელვას, მოსპობას.

ეს ძალიან სამწუხაროა, რადგან სასწორზე დევს ჩვენი ქვეყანა და მისი სახელი, მისი პრესტიჟი. ჩვენ მოწოდებული ვიყავით, რომ ყველაფერი დემოკრატიული სტანდარტებით ყოფილიყო. ყველა თათბირი საარჩევნო შტაბში იწყებოდა იმით, რომ ჩვენი თავმოყვარეობაც კი ვაჩუქოთ ჩვენს ქვეყანას. აქტივისტებს ვეუბნებოდით, ვინმემ რომც გაგინოთ, ხმა არ ამოიღოთ, მოითმინეთ, რომ ჩვენი ქვეყანა არ დავაზარალოთ. გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, ასეთი მოწოდება გვქონდა, რადგან არეულობა არ გვაწყობდა არაფერში.

***— „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობის პირისპირ დარჩა. მხოლოდ ამ ორ ძალას აქვს შესაძლებლობა, არსებული მონაცემებით, პარლამენტში იყოს წარმოდგენილი. ეს რამდენად მისაღებია?***

— ნაციონალური მოძრაობა ემზადებოდა არა არჩევნებისთვის, არამედ დესტაბილიზაციისთვის და ამას ისინი თავიანთ განცხადებებში ღიად აფიქსირებდნენ. რაც შეეხება პირისპირ დარჩენას, ვერ გეტყვით, რომ ეს მახარებს, პირიქით, მაგრამ ისინი ცოტანი იქნებიან, ჩვენ – ბევრნი და ეს კარგია.

ნაციონალური მოძრაობის ეს პროცენტული მაჩვენებელი განსაკუთრებულ სიხარულს ნამდვილად არ მგვრის, მაგრამ, რა ვქნათ, ასე აფიქსირებს ქართველი ამომრჩეველი, თუმცა არც იმის თქმას გავურბივარ, რომ ნაციონალურ მოძრაობას თავისი ამომრჩეველი ჰყავს. ისინი არიან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, მაგრამ მე მიკვირს მათი. როგორც ჩანს, ადამიანები მართლა ადვილად ივიწყებენ წარსულს, თუმცა ჩვენი ქვეყნის პროგრესი მათ ოჯახებსაც გამოადგება და მათ ოჯახებშიც შევა.

***— მოელოდით, რომ ნაციონალური მოძრაობა კვლავ მთავარი ოპოზიცია იქნებოდა?***

— გადაუწყვეტელი, ნიჰილისტურად განწყობილი ამომრჩეველი, როგორც ჩანს, მაინც არ მივიდა არჩევნებზე და ნაციონალური მოძრაობის 15%-იანი მხარდაჭერა ამიტომ გაიზარდა. ეს არის და ეს. ამიტომ იყო ჩვენი მოწოდება ამომრჩევლისადმი, რომ ეაქტიურათ.

***— თუმცა ფაქტია, რომ 2012 წლის არჩევნებზე დაფიქსირებულმა თქვენი მხარდამჭერების რიცხვმა იკლო.***

— ეს განაპირობა გარკვეულმა ფაქტორებმა. იყო ადამიანთა ჯგუფი, რომელიც განაწყენდა სხვადასხვა მიზეზით, მაგალითად, ზოგი სამსახურიდან გაუშვეს, ზოგიც ვერ დასაქმდა ისე, როგორც მოელოდა და ა.შ. შესაბამისად, იყო გადაუწყვეტელი ამომრჩეველი, რომელიც სახლში დარჩა.

# ვის რამდენი დეპუტატი ეყოლება ახალ პარლამენტში?

ცესკოს ბოლო მონაცემების მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში ბარიერი ორმა პარტიამ გადალახა. ზღვარზეა მესამე – პატრიოტთა ალიანსი. როგორ გადანაწილდება მანდატები მეცხრე მოწვევის პარლამენტში?

პარლამენტი 150 დეპუტატისგან შედგება, მათგან 77 პროპორციული ანუ პარტიული სისტემით აირჩევა, ხოლო 73 – მაჟორიტარულით.

2 პარტიის გასვლის შემთხვევაში, პარლამენტში ძალები პროპორციულად ასე გადანაწილდება:

„ქართულ ოცნებას“ 48 დეპუტატი ეყოლება, ხოლო ნაციონალურ მოძრაობას – 29 დეპუტატი.

თუ 5%-იან ბარიერს გადალახავს და საკანონმდებლო ორგანოში მოხვდება პატრიოტთა ალიანსი, ძალთა გადანაწილება ასეთი იქნება:

„ქართული ოცნება“ – 45 დეპუტატი
ნაციონალური მოძრაობა – 26 დეპუტატი
პატრიოტთა ალიანსი – 6 დეპუტატი.

პირველი რადიო

# ირაკლი კობახიძე: „ქართული ოცნება“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს“



„ქართული ოცნება“ მოიპოვებს საკონსტიტუციო უმრავლესობას პარლამენტში, რაზეც არჩევნებამდეც ვსაუბრობდით.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ გუშინ, 9 ოქტომბერს, გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, არჩევნები ჩატარდა სამართლიან და მშვიდობიან გარემოში, რასაც ცხადყოფს საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებლების ანგარიშები და დასკვნები.

— საპარლამენტო არჩევნებში ყოველმა მეორე ამომრჩეველმა ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“, რის საფუძველზეც ჩვენი ხელისუფლება მაღალი ლეგიტიმაციით განაგრძობს ქვეყნის მართვას, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მან ამომრჩეველს მადლობა გადაუხადა ნდობისთვის და აღნიშნა, რომ „ოცნების“ 23-მა მაჟორიტარმა კანდიდატმა პირველივე ტურში მოიგო არჩევნები, კანდიდატების უმრავლესობას კი დააკლდა მხოლოდ მცირე რაოდენობა იმისთვის, რომ პირველივე ტურში მოეპოვებინათ გამარჯვება.

— ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოვიგებთ ყველა არჩევნებს ყველა მაჟორიტარულ ოლქში არჩევნების მეორე ტურში. შესაბამისად, „ქართული ოცნება“ მოიპოვებს საკონსტიტუციო უმრავლესობას პარლამენტში, რაზეც არჩევნებამდეც ვსაუბრობდით.

უშედეგოდ დასრულდა ნაციონალური მოძრაობის უსუსური მცდელობა, რომ გამოეწვიათ ხელოვნური დესტაბილიზაცია, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# ბოლნისის გამგებლის არჩევნებში მეოცნებე დავით შერაზადიშვილმა გაიმარჯვა



ბოლნისის გამგებლის რიგგარეშე არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა დავით შერაზადიშვილმა გაიმარჯვა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, 62-ვე საარჩევნო უბნის შედეგებით, შერაზადიშვილს მხარი ამომრჩეველთა 48,69%-მა დაუჭირა.

30,72%-იანი მხარდაჭერა მიიღო ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა ტრისტან ბერიძემ, 16,34% – დამოუკიდებელმა კანდიდატმა ელგუჯა ჯაფარიძემ, 2,38% – „სახელმწიფო ხალხისთვის“ კანდიდატმა გიორგი სამხარაძემ და 1,87% – პატრიოტთა ალიანსის კანდიდატმა.

# ახალციხის მერის არჩევნებში ნაციონალმა გაიმარჯვა



ცესკოს წინასწარი მონაცემებით, ახალციხეში ქალაქის მერის არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა ირაკლი ერეკლიშვილმა გაიმარჯვა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ახალციხის 13-ვე უბნის შედეგები დათვალა, რომლის მიხედვითაც ირაკლი ერეკლიშვილს მხარი ამომრჩეველთა 45,98%-მა დაუჭირა.

36,99%-იანი მხარდაჭერა აქვს „ქართული ოცნების“ კანდიდატ ვლადიმერ ზედგინიძეს, 7,44%-იანი – „სახელმწიფო ხალხისთვის“ კანდიდატ ივანე გვარამაძეს. 6,86% მოაგროვა ეროვნული ფორუმის კანდიდატმა ჯუმბერ ინასარიძემ და 2,72% – პატრიოტთა ალიანსის კანდიდატმა ბესიკ ტაბატაძემ.

# დავით უსუფაშვილი: „დიახ, ჩვენ ცოტანი ვართ!“



პარლამენტის თავმჯდომარე მხარდამჭერებს მადლობას უხდის და ფეისბუქის საშუალებით მიმართავს:

— წარმატებებს ვუსურვებ საბურთალოს №6 საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველსა და მათ საბოლოო რჩეულს, რომელიც არჩევნების მეორე ტურში გამოვლინდება!

მადლობა ყველას, ვინც მხარი დამიჭირეთ. მე აღარ ვიქნები პარლამენტში თქვენი წარმომადგენელი, მაგრამ კვლავაც ვიქნები თქვენდამი ანგარიშვალდებული. არ ჩათვალოთ, რომ თქვენი ხმა დაიკარგა, პირიქით, თქვენი ხმა შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებით ხმამაღლა გაისმა!

დიახ, ჩვენ ცოტანი ვართ!

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ამერიკა ნაციონალებს სიტუაციას არ აარევინებს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ვერ გაბედავს ნაცმოძრაობა არეულობის მოწყობას, რაზე შეთანხმდებიან რუსეთი და ამერიკა, რატომ არის მართალი ის ხალხი, რომელიც არჩევნებზე არ წავიდა, ვინ უნდა აგოს პასუხი მეორე ტურზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.



## ზაალ კასრელიშვილი: „სააკაშვილმა გარანტიები მიიღო“

**ზაალ კასრელიშვილი:**

– 3 თვის წინ „ახალი თაობისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ვთქვი, რომ პარლამენტში მაქსიმუმ 3 პარტია მოხვდებოდა. ვთქვი ისიც, რომ მესამე ძალა პატრიოტთა ალიანსი იქნებოდა. ისინი ბარიერის გადალახვის ზღვარზე დგანან, რადგან პარლამენტში ამინდს ვერ შექმნიან, ჩავთვალოთ, რომ საკანონმდებლო ორგანოში მხოლოდ ნაციონალები და „ქართული ოცნება“ მოხვდნენ. მე ადრეც გითხარით და ახლაც გაგიმეორებთ, რომ მხოლოდ ამ ორ პარტიას აქვს მხარდამჭერების გამოყვანისა და არჩევნებზე მიყვანის რესურსი.

საბოლოო ჯამში, არჩევნები ძალიან კარგად ჩატარდა და, ის რამდენიმე არაფრისმომცემი ექსცესი რომ არა, ყველაფერი კარგად იქნებოდა.

***– მარნეულის ინციდენტს გულისხმობთ?***

– ქუთაისის, ჯიხაშკარისა და მარნეულის ინციდენტებს. მათგან ყველაზე მასშტაბური იყო მარნეულში მომხდარი ინციდენტი. ამ საზღვრისპირა რეგიონში ასეთი დაპირისპირება კარგად არ დასრულდება. მომხდარზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებამ უნდა აიღოს. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა იმ ხალხს უნდა მოეთხოვოს, რომლებმაც მარნეულის მაჟორიტარობის კანდიდატს გაუწიეს რეკომენდაცია.

რეკომენდატორებზე ჩამოვარდა საუბარი და მივმართავ „ოცნებას“, პასუხი მოსთხოვოს ყველა იმ რეკომენდატორს, რომლის შერჩეულმა კანდიდატმა პირველივე ტურში ვერ მოახერხა გამარჯვება.

***– პასუხი რატომ უნდა მოსთხოვონ, სავალდებულო იყო, პირველივე ტურში მოეგო?***

– სავალდებულო არ იყო და ძალიან კარგია, მეორე ტურები რომ არის, მაგრამ სახელმწიფოს დახმარებითაც რომ ვერაფერს აკეთებს ადამიანი, ამაზე დაფიქრებაა საჭირო. და კიდევ ერთი – ამ მაჟორიტარობის კანდიდატების ნაწილს პირზე გასაღები არა აქვს და ეს ამბავიც გასათვალისწინებელია.

***– რას ნიშნავს, პირზე გასაღები არა აქვთ?***

– დადიან და ღიად აცხადებენ, ამდენი და ამდენი გადავიხადე, მაჟორიტარად რომ წარვედგინეო. ფული, ალბათ, რეკომენდატორებს გადაუხადეს, ჰოდა, მათ მოსთხოვონ პასუხი.

***– თქვენ ამბობთ, რომ არჩევნები, საბოლოო ჯამში, კარგად ჩატარდა. ნაციონალები და პატრიოტთა ალიანსი გაყალბებაზე საუბრობენ და აქციებით იმუქრებიან.***

– რაც უნდა ილაპარაკონ და დაიმუქრონ, არაფერი შეიცვლება. ამ არჩევნებზე ყველა პარტიამ თავისი მაქსიმუმი აჩვენა, მათ შორის „ოცნებამაც“, ნაციონალებმაც და ალიანსმაც. შედეგად მივიღეთ ორპარტიული პარლამენტი.

***– კარგია ორპარტიული პარლამენტი?***

– ძალიან კარგი იქნება, თუ საქართველოში 2 ან 3 პარტია იქნება წამყვანი პოლიტიკური ძალა. მეორე საკითხია, რამდენად აკმაყოფილებს ამომრჩევლებს ან „ოცნება“, ან ნაცმოძრაობა.

***– თქვენი აზრით, აკმაყოფილებს?***

– თუ გავითვალისწინებთ, რომ არჩევნებზე ამომრჩევლის ნახევარზე მეტი არ მივიდა, მოსახლეობის დიდ ნაწილს არცერთი პარტია არ აკმაყოფილებს. შესაბამისად, 4 წელი ძალიან სერიოზული პროცესები გველოდება. პარლამენტში გასული პარტიები კიდევ უფრო დაკარგავენ მოსახლეობის ნდობას. მათი ნებისმიერი განცხადება თუ გადაწყვეტილება ხალხს გააღიზიანებს.

გარე ძალები, რომლებიც საქართველოში რამდენიმე პარტიაზე ამყარებდნენ იმედებს, იძულებული გახდებიან, ამ 2 პარტიაზე გააკეთონ აქცენტი. მათ შორის დაპირისპირება გამძაფრდება.

ამას დავამატოთ გარეთ დარჩენილი პარტიები, რომლებიც ძალიან აგრესიულად მოიქცევიან და მიმართავენ პოლიტიკურ პრესინგს. ასე რომ, მომდევნო 4 წელი დიდი დაძაბულობა გველოდება.

***– დარწმუნებული ხართ, რომ 8 ოქტომბერს არჩეული პარლამენტი 4 წელს გაქაჩავს?***

– სირთულეები და გადადექი-გადადექის ძახილი იქნება, მაგრამ ამით დამთავრდება ყველაფერი.

***– სააკაშვილს უკან რომ არ დაეხია და სარფში მაინც ჩამოსულიყო არჩევნების დღეს, შედეგი ისევ ასეთი იქნებოდა?***

– სააკაშვილს უკან არ დაუხევია. ის არც აპირებდა წინა ხაზზე გამოსვლას და, თუ ვინმეს ამის ილუზია ჰქონდა, ძალიან შემცდარა.

***– ხომ თქვა 5 ოქტომბერს, 3 დღეში გადმოვცურავ ზღვასო?***

– ეგ ისე თქვა, მერე დააზუსტა, არ ჩამოვდივარო. მას ამისთვის თანაპარტიელები აუცილებლად მოსთხოვენ პასუხს. მას საქართველოში აღარაფერი ესაქმებოდა, რაც უნდა გაეკეთებინა, გააკეთა – საშოვნელი იშოვა და წავიდა. მარტო იმიტომ, რომ საქართველოს პრობლემური ტერიტორიები, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სახით, ჩამოაშორა, ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო.

***– ვისგან მიიღო ეს გარანტიები, რუსეთისგან თუ ამერიკისგან?***

– როგორც მოტყუებულ, მასხრადაგდებულ და ტრაბახა ქართველებს ჩიტებმა ამბავი მოგვიტანეს, მოლაპარაკება ორივე მხარესთან მიდიოდა. 2008 წლის ომამდე რუსებისგან აიღეს ფული, ომის შემდეგ – ამერიკელებისგან. რა ჰქვია ამას, დახმარება თუ გასამრჯელო, მნიშვნელობა არ აქვს.

სააკაშვილი აქ ჩამომსვლელი არ არის და ნაციონალური მოძრაობა სულ ტყუილად იმუქრება აქციებით.

***– რადგან სააკაშვილი ვერ ჩამოვა, მის გარეშე ვერაფერს გახდებიან?***

– ჩვენი აზრით, ნაცმოძრაობის პატრონები ამ შედეგით კმაყოფილი უნდა იყვნენ ერთი მარტივი მიზეზის გამო – ამ პარტიას მეტი ამომრჩეველი ფიზიკურად არ ჰყავს. მეტსაც გეტყვით – მათ ასეთი კარგი შედეგი 2012 წლის არჩევნების შემდეგ არ ჰქონიათ.

მინდა, კარგად იცოდნენ ნაციონალებმა – მათ ამერიკა აქ სიტუაციას არ აარევინებს. აქ არეულობა არც რუსეთს აწყობს. დღეს ამ ორ სახელმწიფოს არაფერში აწყობს საქართველოში არეულობა.

***– მხოლოდ იმიტომ არ იქნება არეულობა, რომ რუსეთსა და ამერიკას არ უნდათ?***

– არეულობისთვის საფუძველი არ არსებობს. კიდევ გეუბნებით, ნაციონალების პატრონები შედეგით კმაყოფილნი არიან. ნაციონალებმა რევოლუციის მოწყობა რომც მოინდომონ, ამისთვის ხალხი არ ჰყავთ.

***– პარლამენტში შესვლაზე უარს თუ იტყვიან?***

– ამას დასავლეთი და ნაციონალების პატრონები არ დაუშვებენ.

***– გამოდის, რომ აქ ყველაფერს ისე იქნება, როგორც ეს რუსეთს ან დასავლეთს უნდა?***

– რუსეთსა და ამერიკას კიდევ 2 ქვეყანა და მავანთა კორპორაციული ინტერესები დაუმატეთ. ყველაფერი ისე ხდება, როგორც მათ უნდათ. არჩევანს კი ვაკეთებთ, მაგრამ არჩევანის შედეგები მათ ყულაბაში მიდის. შემდეგ ისინი ჭადრაკის დაფაზე თავიანთ ინტერესებსა და ჩვენს შედეგებს ისე ალაგებენ, როგორც მათ სჭირდებათ.

***– გამოდის, რომ ის ამომრჩეველი, რომელმაც არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, სწორად მოიქცა.***

– ეს არის შეგნებული ამომრჩეველი, რომლისთვისაც არცერთი წარმოდგენილი ძალა მისაღები არ იყო. ეს ხალხი აუცილებლად იტყვის გადამწყვეტ სიტყვას პოლიტიკაში.

# ვიქტორ დოლიძე: „თავისუფალი დემოკრატები ქუჩის აქციებს არ ვაპირებთ“

ნონა ცაბაძე

რა დარღვევებს ჰქონდა ადგილი არჩევნებზე? მიმართავენ თუ არა საპროტესტო აქციებს თავისუფალი დემოკრატები, თუკი პარლამენტში ვერ შევლენ? რატომ ვერ მიიღეს მოსახლეობის მხარდაჭერა? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი ვიქტორ დოლიძე პასუხობს.

***– ბატონო ვიქტორ, არჩევნები დასრულდა. საზოგადოების დიდი ნაწილი შედეგებით კმაყოფილი არ არის. არც ის არის გამორიცხული, რომ ორპარტიული პარლამენტი მივიღოთ. როგორია თქვენი შეფასებები და პროგნოზები?***

– იმ ინციდენტების მიუხედავად, რაც მოხდა, არჩევნებმა ჩაიარა ღიად, გამჭვირვალედ, თავისუფალ გარემოში.

***– თქვენი შეფასებები მაინც დადებითია?***

– დიახ, რადგან იყო თავისუფალი არჩევანის საშუალება. ჩვენს ამომრჩეველს მიეცა საშუალება, გაეკეთებინა თავისუფალი არჩევანი და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

***– რით ხსნით თქვენს წარუმატებლობას? რატომ ვერ მოხიბლეთ ამომრჩეველი, სად დაუშვით შეცდომები?***

– ჩვენ ამ კითხვაზე პასუხი და ანალიზი უნდა გავაკეთოთ მას შემდეგ, როდესაც გვექნება საბოლოო მონაცემები. ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე არ მინდა, გავაკეთო ზედაპირული განცხადება.

***– ოპოზიციური პარტიების ნაწილი ქუჩაში გამოსვლებითა და საპროტესტო აქციებით იმუქრება. როგორი იქნება თქვენი პარტიის პოზიცია?***

– ალბათ, ნაციონალურ მოძრაობაზე გაქვთ საუბარი.

***– პატრიოტთა ალიანსიც აანონსებს აქციებს.***

– ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები, ვფიქრობთ, რომ დღეს ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ქვეყანაში სტაბილური, ნორმალური, ღია საარჩევნო გარემო იყო. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ



ეს დადებითი გარემო და ქვეყანა უნდა წავიდეს წინ. ყველანი უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ეს წინასაარჩევნო გარემო ყველა წინასაარჩევნო გარემოსგან თვისობრივად განსხვავებული იყო. მასმედია მაქსიმალურად შეეცადა, ჩვენთვის, პოლიტიკოსებისათვის, მოეცა საშუალება, რომ ამომრჩევლისთვის საკუთარი ხედვები გაგვეცნო. დღეს ჩვენი ქვეყანა ვითარდება, წინ მიდის და ეს პროცესი არ უნდა შეჩერდეს. არა მგონია, არეულობა ან ხელისუფლებას აწყობდეს, ან რომელიმე პოლიტიკურ ძალას.

***– ნაციონალურ მოძრაობას თუ აქვს ამის თქმის საფუძველი და აქციებითაც იმუქრება?***

– ნაციონალური მოძრაობა მადესტაბილიზებელი ფაქტორი იყო ამ ქვეყანაში, მათ შორის, ხელისუფლებაში ყოფნის დროს. დღეს ნაციონალების განცხადებები ნაკლებად მნიშვნელოვანია. ჩემთვის დღეს ყველაზე მთავარია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს ყველა ხმის დაცვა, სახელმწიფომ უზრუნველყოს უსაფრთხოება და სტაბილურობა ქვეყანაში და იმის საფუძველი, რომ წინსვლა იყოს სახეზე ჩვენი ევროინტეგრაციის თვალსაზრისით.

მე ნამდვილად ვერ ავყვები ვილაცებს. თუკი რაიმე საფუძველი იქნება ამისა, ბუნებრივია, რეაგირება უნდა გააკეთოს ყველამ. თუმცა ამ ეტაპზე მე არ მაქვს საფუძველი, ვთქვა, რომ ამა თუ იმ ინციდენტმა რაიმე ზეგავლენა იქონია არჩევნების შედეგებზე.

***– ანუ არ გაქვთ იმის თქმის საფუძველი, რომ არჩევნები გაყალბდა?***

– ამ წუთას არა მაქვს, თუმცა დაველოდოთ საბოლოო შედეგებს. მაჟორიტარულ ოლქებში მეორე ტურებიც წინ არის. ბევრი მეორე ტური იქნება.

***– რამ განაპირობა ის, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ასეთი მაღალი შედეგი აჩვენა?***

– ძალიან კარგი კითხვაა, მაგრამ, რა გითხრათ... მე მომწონს ეს, არ მომწონს, ვიღაცამ ეს მიიჩნია სამართლიანად თუ პირიქით. რას ვიზამთ, ეს არის ის მოცემულობა, რომელსაც უნდა შევეგუოთ. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია იმაზეც, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მოახდინა ნაციონალური მოძრაობის რეინკარნაცია, რისიც ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავით.

თუ ამის მცდელობა არსებობს, ეს ხელისუფლების დამსახურებაა. ჩვენ ისრები არ გადაგვაქვს არავის მიმართულებით, უბრალოდ, ასეა. რას ვიზამთ, პატივს ვცემთ ჩვენი თანამოქალაქეების თავისუფალ არჩევანს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრიობისთვის.

## ბიძინა ივანიშვილი: „ვინც მხარი „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა, არ შემცდარა“

საქართველოს ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი ქართველ ხალხს საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ულოცავს.

როგორც ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ ოფისის ეზოში შეკრებილებს მიმართა, დღეს ყველა წინაპირობა არსებობს, რომ ქვეყანა სწრაფი ტემპით განვითარდეს.

– გილოცავთ! „ქართულმა ოცნებამ“ მართლაც შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენი გამარჯვება არის გაგრძელება 2012 წლის გამარჯვებისა. იცით, რომ 5 წლის წინ საქართველო დიქტატურის მსხვერპლი შეიძლებოდა გამხდარიყო, დღეს კი დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებების კუთხით ევროპის ქვეყნებთან ვართ კონკურენციაში.

გარწმუნებთ, დღეს საუკეთესო გარემოა, რომ ჩვენი ეკონომიკა სწრაფი ტემპით განვითარდეს. საქართველოს დღეს, ნაცვლად გაუგებარი ხელისუფლებისა, ჰყავს სახალხო ხელისუფლება. თქვენ, კვირიკაშვილის მეთაურობით, გენიალური მთავრობა გყავთ. მადლობა მინდა თქვენ, საზოგადოებას გადაგიხადოთ. ვინც მხარი „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა, არ შემცდარა. ქვეყანა ნამდვილად სწორი მიმართულებით მიდის, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

**ნიუსპრესი**

## ფედერიკა მოგერინი და იოჰანეს ჰანი: „ჩვენ მზად ვიქნებით, ვიმუშაოთ დემოკრატიულად არჩეულ ახალ პარლამენტთან“

– ჩვენ მზად ვიქნებით, ვიმუშაოთ დემოკრატიულად არჩეულ ახალ პარლამენტთან და მთავრობასთან საარჩევნო პროცესის დასრულების შემდგომ.

ამის შესახებ ნათქვამია ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ვიცეპრეზიდენტ ფედერიკა მოგერინისა და ევროკომისრის იოჰანეს ჰანის ერთობლივ განცხადებაში, რომე-



ლიც საქართველოში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს ეხება.

განცხადებაში მოყვანილია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო მისიის მიერ გაკეთებული წინასწარი დასკვნიდან შეფასება, რომლის თანახმად, არჩევნები კონკურენტულ და კარგად ორგანიზებულ გარემოში ჩატარდა და, ზოგადად, ადამიანის ძირითადი უფლებები დაცული იყო.

# ჯონდი ბაღათურია: „ახალი პარლამენტი 4 წელი ვერ გაძლებს“

ნონა ცაბაძე

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქართული დასის ლიდერი ჯონდი ბაღათურია აფასებს.

***– ჯონდი, როგორ შეაფასებდით საპარლამენტო არჩევნებს? რამდენად სამართლიანად ჩატარდა ის? ან თქვენი შედეგები რით არის განპირობებული?***

– არჩევნები სამართლიანად ნამდვილად არ ჩატარებულა, იმიტომ, რომ იყო უთანასწორო გარემო. ორი პოლიტიკური ძალის ხელში იყო თავმოყრილი მთელი ფინანსური რესურსი და სრული ტოტალური კონტროლი ჰქონდა ორივე ძალას მედიარესურსზე.

***– არ მოხდა პოლიტიკური პარტიების გაერთიანება. ამან არ იმუშავა თქვენ წინააღმდეგ?***

– პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებსაც შეგვილია, ახალი სიტყვა ვთქვათ პოლიტიკაში, ვერ მოვახერხეთ გაერთიანება. სწორედ ამის გამო, რომ ჩვენ ალტერნატივაც ვერ შევთავაზეთ ქართველ საზოგადოებას, ჩვენ, ქართულმა დასმა, გადავწყვიტეთ, არ მიგველო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა და მხოლოდ ერთ მაჟორიტარულ ოლქში ვმონაწილეობდით.

***– ორპარტიული პარლამენტი გვეყოლება?***

– კი, ასე იქნება და ეს პროგნოზირებადი იყო! ჩემს კოლეგებთან საუბარში ამას ყოველთვის ვამბობდი. სამწუხაროდ, ვერცერთმა ჩემმა კოლეგამ ვერ გამოიჩინა წინდახედულობა და მივიღეთ ის შედეგი, რაც მივიღეთ.

***– ანუ ოპოზიციის წვლილიც დიდია ამაში?***

– ჩვენშიც არის პრობლემა, რადგან ალტერნატიული შედეგი ვერ შევთავაზეთ ქართველ საზოგადოებას.

***– ნაციონალები 30%-ს უახლოვდებიან. გამოდის, რომ ისინი მაინც მოსწონს ამომრჩეველს?***

– ქვეყანაში, სადაც ტოტალური სიღარიბეა, ფინანსურ რესურსს ენიჭება ძალიან დიდი, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა. ფული ყველგან მუშაობს. არჩევნებში ფული აუცილებელია. სხვანაირად არჩევნებში მონაწილეობის მიღება წარმოუდგენელია. ღარიბ ქვეყნებში კი ფულის მნიშვნელობა და როლი განსაკუთრებულად იზრდება! ტელევიზიებსაც მთლიანად ეს ორი ძალა აკონტროლებდა.

***– ივანიშვილის ტერმინი რომ ვიხმაროთ, შუა ისევ გაიკრიფა?***

– სწორედ შუის გაკრეფის მიზნით „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის მოხდა გარიგება.

***– გარიგება რასთან დაკავშირებით?***

– იმისთვის, რომ დაეშინებინათ ამომრჩეველი. მიშას ყოველი ბლავილი ოდესიდან იყო დამატებითი სტიმული ამომრჩევლისთვის, რომ ამდგარიყო, მისულიყო და ხმა მიეცა „ქართული



ოცნებისთვის“!

***– ამ ყველაფერს წინ უძღოდა ფარული ჩანაწერები, გივი თარგამაძის ავტომობილის აფეთქება, საუბარი იმის თაობაზე, რომ დესტაბილიზაცია მოხდება. ამან ვის სასარგებლოდ იმუშავა?***

– ამან იმუშავა სწორედ ამ ორი პარტიის სასარგებლოდ. ეს იყო მიზანმიმართული პროცესი. ხომ დამთავრდა არჩევნები? მიშა სააკაშვილი დღეში სამჯერ ხომ გაიძახოდა, ჩამოვდივარო. სად არის, რატომ არ ჩამოვიდა, მეტყვის ვინმე?!

***– რატომ არ ჩამოვიდა? ან რაზე იყო ეს ყველაფერი გათვლილი?***

– ყველა განცხადება იმის თაობაზე, რომ ჩამოვა და ბიძინას დაამხობს, აძლევდა ახალ სტიმულს იმ ამომრჩეველს, რომელიც არ აპირებდა, „ქართული ოცნებისთვის“ მიეცა ხმა, მისულიყო და ხმა მიეცა მიშას შიშით „ქართული ოცნებისთვის“! ანუ მიშასგან შექმნეს ბუა და ეს შეთანხმებით მოხდა.

***– ანუ აწყობდა „ოცნებას“, რომ ისევ ნაციონალები ჰყოლოდა ოპონენტად პარლამენტში?***

– რა თქმა უნდა! ეს ერთი პატრონის ორი დაჯგუფებაა. მათ ერთი მმართველი ჰყავთ.

***– კითხვის ნიშნებს ხომ არ გააჩენს ახალი პარლამენტის ლეგიტიმურობა?***

– ახალი პარლამენტის ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ, არა მგონია, დადგეს, თუმცა ძალიან მეპარება ეჭვი იმაში, რომ ამ პარლამენტმა ოთხი წელი გაძლოს. რამდენიმე თვეში ხალხი მიხვდება, რომ მწარედ მოატყუეს და ეს ყოველთვის ქმნის ქუჩაში პროცესების გადმოტანისთვის ნოყიერ ნიადაგს.

პარტიების კრიტიკულზე მეტი რაოდენობა დარჩა გარეთ. ეს კი არ მოიტანს პოზიტიურ შედეგს. პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზი არის პარლამენტი. როდესაც პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზი გადმოდის ქუჩაში, მაშინ ქვეყნის განვითარება ფერხდება. როდესაც პოლიტიკური სპექტრის ძირითადი ნაწილი რჩება პარლამენტს გარეთ, მაშინ პოლიტიკური ცხოვრება გრძელდება ქუჩაში. აი, ეს არ უნდა გაეკეთებინათ. ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული შეცდომაა, რაც ამ ორმა პარტიამ ერთმანეთთან გარიგებით დაუშვა.

# კახა კუკავა: „არჩევნების შედეგები სააკაშვილმა და ივანიშვილმა ერთად დაგეგმეს“

ნონა ცაბაძე

არჩევნების შედეგებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კახა კუკავა საუბრობს.

***– ბატონო კახა, როგორ აფასებთ 8 ოქტომბრის არჩევნებს?***

– მივიღეთ ის, რასაც ველოდით. მე ამის შესახებ განსაკუთრებით ბოლო ორი კვირის განმავლობაში ძალიან ბევრს ვსაუბრობდი, რომ იგეგმებოდა ორ პოლიტიკურ ძალას შორის შედეგების გაყოფა საქართველოს პარლამენტში და ასეც მოხდა. ჩვენ მივიღეთ იგივე შედეგი, რომელიც მივიღეთ ყველა წინა არჩევნებზე. საქართველოს პარლამენტში არ არის წარმოდგენილი ქართველი ხალხის ნება.

***– აბა, რა არის წარმოდგენილი?***

– მასში წარმოდგენილია მხოლოდ ადმინისტრაციული რესურსები და ფინანსური ოლიგარქია.

***– პატრიოტთა ალიანსი ბარიერის გადალახვის ზღვარზეა. არის შანსი, რომ მოხვდეს პარლამენტში?***

– კი, ამის შანსი არის. პირადად მე ვერ მოვხვდები, თუმცა პატრიოტთა ალიანსი შესაძლოა შევიდეს პარლამენტში.

***– ეს რამდენად შეცვლის მოცემულობას?***

– გარკვეულწილად – კი, მაგრამ, იმდენად გამოკვეთილია ორი პარტიის დომინირებული პოზიცია, რომ უკვე არაკონკურენტული გარემოა შექმნილი. მე ხშირად ვამბობდი, რომ თუ ჩვენ გვინდოდა ევროპული პარლამენტი, ეს უნდა ყოფილიყო 5-6 პარტიული პარლამენტი, სადაც არავის ექნებოდა 50%. რამდენად შეიძლება, მრავალპარტიული ვუწოდოთ სამ პარტიულ პარლამენტს, სადაც ამ სამიდან ორს ხმათა 90% ექნება, ეს რთული სათქმელია.

***– როგორ მოახერხა ნაციონალურმა მოძრაობამ, რომ ამხელა მხარდაჭერა მიეღო?***

– ბიძინა ივანიშვილის აქტიური მხარდაჭერით, მათ შორის სერიოზული ფინანსური მხარდაჭერით.

***– ანუ ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი და შეთანხმებული?***

– რა თქმა უნდა. ეს იყო ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის ურთიერთშეთანხმებული გეგმა. მათ ერთად დაგეგმეს წინასაარჩევნო კამპანია, ერთად გამოიგონეს სახელმწიფო გადატრიალება, ერთად გამოიგონეს, თითქოს სააკაშვილი საქართველოში ბრუნდება. სააკაშვილი რომ საქართველოში არ ბრუნდება, ამის შესახებ განცხადება უკვე გააკეთა სააკაშვილმა და თქვენ ნახავთ, რომ არც არანაირი გადატრიალების შესახებ პროკურატურა გამოძიებას არ გააგრძელებს.

***– ანუ წინასწარ იყო დაგეგმილი ეს ყველაფერი?***

– ისევე, როგორც შევარდნაძემ და აბაშიძემ ერთად დაგეგმეს 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები, სააკაშვილმაც და ივანიშვილმაც ერთად დაგეგმეს ამ არჩევნების შედეგები.

***– წინასაარჩევნოდ ხომ ნაცმოძრაობის დისკრედიტაცია მიდიოდა, რომ ისინი სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდნენ. ამან მათ საწინააღმდეგოდ არ იმუშავა?***

– პირიქით, ამით მიდიოდა ნაციონალების წისქვილზე წყლის დასხმა, იმიტომ, რომ ის იყო გამოყვანილი, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა. რაც შეეხება იმას, რომ გადატრიალებას გეგმავს, ნაციონალურ მოძრაობას ძირითადად ხმას აძლევენ ამ ხელისუფლების შეურიგებელი მოწინააღმდეგეები და მათთვის ბიძინა ივანიშვილის დამხობა სულაც არ არის რაიმე ნეგატიური მოვლენა, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას ამომრჩეველს დააკარგვინებდა.

***– პატრიოტთა ალიანსი საპროტესტო აქციებს აანონსებს. ეს აქციები შეცვლის მოცემულობას?***

– ჩვენ ველოდებით ოფიციალურ შედეგებს, გავმართავთ კონსულტაციებს სხვა პოლიტიკურ ძალებთან, რის შემდეგაც მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას.

***– გადაინაცვლებს პროცესები ქუჩაში?***

– ამისი ძალიან მაღალი რისკი არსებობს, ოღონდ, ეს მოხდება ახლავე თუ გარკვეული პერიოდის შემდგომ, დამოკიდებულია ოპოზიციური პარტიების ლიდერებზე. მე, პირადად, მხარს ვუჭერ მასობრივ აქციებს, მაგრამ ყველა ოპოზიციური ლიდერი ასე არ ფიქრობს. ამ არჩევნების შედეგად ხელისუფლების შეცვლის ძალიან დიდი მუხტი ჩაიდო. მოხდება ის, რაც 2008 წელს მოხდა – პროცესები ქუჩაში გადაინაცვლებს. ამის ძალიან დიდი რისკია, თუმცა, საქმე ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები მართულია.

***– ვისგან?***

– აქ არსებობს ორი სუბიექტი, რუსეთი და ამერიკა. ქართველი ხალხი, როგორც სუბიექტი, არ არსებობს.

***– ეს არჩევანი ქართველმა ამომრჩეველმა***



***გააკეთა. ეჭვქვეშ არავინ აყენებს არჩევნების ლეგიტიმურობას.***

– მე მგონია, რომ არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დადგება.

***– ფიქრობთ, რომ არჩევნები გაყალბდა?***

– რა თქმა უნდა! მე ვფიქრობ, რომ მილიონ სამასი ათასი ხმა იქნა ჩაყრილი საარჩევნო უბნებზე!

***– ეს როგორ მოხერხდა?***

– ისე, როგორც ხერხდებოდა მოქალაქეთა კავშირისა და ნაციონალური მოძრაობის დროს.

***– ვის სასარგებლოდ ჩაიყარა ეს ხმები?***

– „ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ!

## არჩევნები აჭარაში — უსკოს ბოლო წინასწარი მონაცემები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პროპორციული არჩევნების ბოლო წინასწარი მონაცემები, უსკოს ინფორმაციით, ასე გამოიყურება:

1. „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის“ – 2,94%
3. ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობა – 6,8%
5. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 29,63%
6. უსუფაშვილი-რესპუბლიკელები – 1,5%
7. „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ – 0,22%
8. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი – 5,71%
10. ლეიბორისტული პარტია – 2,42%
14. დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის – 0,19%
16. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია – 0,17%
19. საარჩევნო ბლოკი „„თოფაძე-მრეწველები ჩვენი სამშობლო“ – 1,09%
23. „ჩვენები-სახალხო პარტია“ – 0,22%
26. „ეროვნული ფორუმი“ – 1,03%
27. თავისუფალი დემოკრატები – 3,15%
32. მურმან დუმბაძე მედეა ვასაძე – ემსახურე საქართველოს – 0,72%
41. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ – 44,91%.

## ენდიაი: „პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა და აქტივისტებმა არჩევნების შედეგებს პატივი უნდა სცენ“

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა არჩევნების შემდგომი პროცესების სწორად წარმართვის მიზნით რეკომენდაციები გასცეს.

როგორც მისიის ერთ-ერთმა წევრმა ტედ კაუფმანმა 9 ოქტომბერს გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, ცესკომ დაუყონებლივ უნდა მოახდინოს რეაგირება დარღვევებზე ცალკეულ ოქმებში ხმის დათვლის პროცესის ხელის შეშლის ფაქტებზე.

– პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა და აქტივისტებმა პატივი უნდა სცენ არჩევნების შედეგებს, იმის გათვალისწინებით, რომ შედეგები აღიარებულია მიუკერძოებელი ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიის მიერ. ყველამ თავი უნდა ავარიდოთ სპეკულაციებს, რაც შეიძლება ეფუძნებოდეს ეგზიტპოლის ურთიერთგამომრიცხავ შედეგებსა და ცალკეულ ინციდენტებს, – განაცხადა ტედ კაუფმანმა.

მისი თქმით, ცესკომ რეაგირება უნდა მოახდინოს ყველა ლეგიტიმურ საჩივარზე, ითანამშრომლოს ყველა მომჩივანთან და უზრუნველყოს სამუშაოების გამჭვირვალობა, რათა პროცესების მიმართ ნდობა გაიზარდოს.

– ასევე ყველამ უნდა დაგმოს ძალადობის ყოველგვარი გამოვლინება, ითანამშრომლოს შესაბამის ორგანოებთან და მოახდინოს ინციდენტების გამოძიება, – აღნიშნა ამერიკის ყოფილმა სენატორმა.

ნიუსპრესი

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სოსო მანჯავიძე: „ნაციონალებმა არაადეკვატურად მაღალი პროცენტები მიიღეს“

მარიამ მჭედლიშვილი

## „ორპროცენტიანი პარტიების ლიდერებმა პოლიტიკას თავი უნდა დაანებონ“

საპარლამენტო არჩევნების წინასწარ შედეგებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატ სოსო მანჯავიძეს.

**სოსო მანჯავიძე:**

– ჯერჯერობით არ არის ცნობილი საბოლოო შედეგები, თუმცა სურათი ნათელია. მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურების ჩატარების შემდეგ „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას მიიღებს.

***– თქვენი ადრინდელი პროგნოზიც ასეთი იყო.***

– მართალია. მეორე ადგილზე ვვარაუდობდი ნაცმოძრაობის გასვლას. არ გამოვრიცხავდი, რომ ბარიერს გადალახავდა პარტია თავისუფალი დემოკრატები. ისინი, ახლანდელი მონაცემებით, ბარიერისგან შორს არ არიან, თუმცა დაახლოებით ერთ პროცენტში მაინც შევცდი.

***– მომავალი პარლამენტი ორპარტიული იქნება.***

– ამაში დიდ საფრთხეს ხედავენ. ბევრს უნდა, რომ პარლამენტი მრავალპარტიული იყოს. ისმის შეკითხვა – საიდან უნდა მიგვეღო მრავალპარტიული პარლამენტი?!

***– ითვლებოდა, რომ რამდენიმე სუბიექტი შეძლებდა ბარიერის გადალახვას.***

– გაუგებარია, რას ეყრდნობა მოსაზრება მრავალპარტიულობის შესახებ. ბიუჯეტიდან პარტიების დაფინანსებას? ეს საერთოდ არ იძლევა პარტიების მხრიდან მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალებას, მით უმეტეს, რომ ბიუჯეტიდან ყველა არ ფინანსდება. არ მინდა, პერსონალიებს შევეხო, მაგრამ კიდევ ერთი პრობლემაა პოლიტიკური ლიდერების ავტორიტეტი და მათი ელექტორალური მიმზიდველობა.



***– ანუ ავტორიტეტული და სანდო ლიდერებისა და პარტიების დეფიციტია?***

– ეს პრობლემაც დგას. კიდევ ერთი სატკივარი საზოგადოების მენტალიტეტს უკავშირდება. არ მესმის, რანაირად უნდა მიიღოს მაღალი შედეგი იმ პარტიამ, რომელსაც 9 წლის განმავლობაში ამდენი „გმირობა“ აქვს ჩადენილი, ტერიტორიების დაკარგვით დაწყებული, ყველა იმ სასტიკი დანაშაულით დამთავრებული, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ნაციონალებმა არაადეკვატურად მაღალი პროცენტები მიიღეს. ეტყობა, მათ, ვინც ნაცმოძრაობას ხმა მისცა, დასკვნების გამოტანის უნარი არ გააჩნიათ. ასეთი ხალხისათვის უცხოა ზნეობრივი ნორმები.

***– ნაცმოძრაობა მუდმივად აქტიურია და ახალ გეგმებსაც აწყობს.***

– ესაა უბედურება. ბოლო დროს მათმა ისტერიამ, განსაკუთრებით რუსთავი 2-ზე, არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ჯერ გამოაცხადეს, სააკაშვილი ჩამოდისო, ცოტა ხანში აღმოჩნდა, რომ აღარ ჩამოდის.

***– მომავალში რას იზამს ნაციონალური მოძრაობა?***

– ნაცმოძრაობა არასდროს გაჩერდება. მომავალი 4 წელიწადი იქნება მოსახლეობის ნერვებზე თამაშის პერიოდი. იქნება ისტერიკები, ხმაური და გამიშვი-გამატარე. ისინი შექმნიან არაჯანსაღ ატმოსფეროს, თუმცა რევოლუციას ვერ მოაწყობენ, სარევოლუციო განწყობა ქვეყანაში არ არის. საამისოდ არც საერთაშორისო მხარდაჭერაა.

აშშ-ის ელჩმა წინასაარჩევნო გარემოს იდეალური უწოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი არ უჭერს მხარს დესტაბილიზაციას საქართველოში. პირიქით, არის იმისი სურვილი, რომ არსებული სიტუაცია და სტაბილურობა შენარჩუნდეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნაცმოძრაობა არ გამოიყენებს ნებისმიერ შანსს არეულობის მოსაწყობად.

***– განაწყენებული პარტიები ქუჩაში ხომ არ გადაინაცვლებენ? მხედველობაში მაქვს ხანგრძლივი პოლიტიკური აქტიურობა და არა მხოლოდ კონკრეტული საპროტესტო აქციების გამართვა საარჩევნო საკითხზე.***

– ვერ გადაინაცვლებენ. ქუჩაში აქტიურობასაც შესაბამისი სიტუაცია და რესურსი სჭირდება. ზოგიერთ ძალას, მაგალითად, პატრიოტთა ალიანსს, შეუძლია ხალხის მობილიზება, თუმცა ამას მუხტი და კონტექსტი ესაჭიროება. ადამიანები ჩვენთან არ გამოვლენ ქუჩაში აბსტრაქტული საკითხების გამო. ასეთი რამ განვითარებული დემოკრატიის სახელმწიფოებში ხდება. ჩვენში ხალხი იმ პრობლემების გამოც ძნელად გამოდის საპროტესტოდ, რომლებიც მას უშუალოდ ეხება.

წინააღმდეგობის მოძრაობაში და სახალხო კრებაში რომ ვიყავი, პატიმრები უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამაზე საპროტესტო აქციებს ვმართავდით, მაგრამ ძალიან ცოტა პატიმრის ახლობელი გვიერთდებოდა. სხვები არაფრით გამოდიოდნენ.

***– ანუ პოლიტიკური პროცესები გარეთ არ გადმოინაცვლებს?***

– საამისო განწყობაც არ არის. ბევრ ლიდერს არასწორი მოლოდინი ჰქონდა. ზოგი წინასაარჩევნოდ დიდ ილუზიებში ჩავარდა.

***– რამდენიმე ძალა აცხადებდა პრეტენზიას პირველ ადგილზე.***

– ზოგი პირველ ადგილზე აცხადებდა პრეტენზიას, ზოგი – მეორეზე. საუბედუროდ, ჩვენი მედია და საზოგადოება არ უსვამს ჯვარს ასეთ პოლიტიკოსებს. ეს პოლიტიკოსები ერთ დღეს დიდ სისულელეს იტყვიან, შემდეგ ამას ყველა შეიტყობს, მაგრამ ისინი უხერხულობაში არ ვარდებიან. ამის მერე სხვა მათ ადგილზე არათუ სატელევიზიო ეთერში აღარ გამოჩნდებოდა, საერთოდ პოლიტიკიდან წავიდოდა.

***– იქნებ ზოგიერთი პოლიტიკოსი წინასაარჩევნოდ ტრაბახობდა და ილუზიებში არც იყო.***

– უბედურებაც ისაა, რომ ასეთებს გულწრფელად სჯერათ იმისი, რასაც ამბობენ. ტრაბახიც რომ ყოფილიყო, არ იქნებოდა მისაღები. სისულელეს თავისი სახელი ხომ უნდა დავარქვათ!

***– მოსალოდნელია, რომ ამ შედეგებმა პოლიტიკაში ცვლილებები გამოიწვიოს?***

– წესით, უნდა გამოიწვიოს. პარტია რომ 1 ან 2 პროცენტს ვერ მოაგროვებს, იმან დასკვნები უნდა გამოიტანოს. ასეთი პარტიების ლიდერებმა პოლიტიკას თავი უნდა დაანებონ და სხვა საქმე გამონახონ. მედიაც არ უნდა დაკავდეს მათი აზრების ტირაჟირებით.

# მაჟორიტარების უმრავლესობას მე-2 ტური ელის

**არჩევნების წინ პოზიციაც და ოპოზიციაც თანხმდებოდნენ იმაზე, რომ ძალიან ბევრ მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტური გაიმართებოდა. მათი წინასწარმეტყველება გამართლდა – 2 ნოემბრამდე 50-ზე მეტ ოლქში კვლავ საარჩევნო ციებ-ცხელება იქნება.**

**ცესკოს მიერ ამ დროისთვის გამოქვეყნებული მონაცემებით, საქართველოს რეგიონებში 51 მაჟორიტარული ოლქიდან არჩევნების მეორე ტური 34 მაჟორიტარულ ოლქში გაიმართება.**

**პირველივე ტურში არჩევნები 17 საარჩევნო ოლქში დასრულდა.**




შორენა მარსაგიშვილი

**იღბლიანი ოლქების სია ასე გამოიყურება:**

ქარელი-გორის შინდისი, ვარიანის მე-40 მაჟორიტარული ოლქი, ბორჯომის (ასპინძა/ახალქალაქის 5 სოფელი) 45-ე მაჟორიტარული ოლქი, ნინოწმინდა-ახალქალაქის 46-ე მაჟორიტარული ოლქი, საჩხერის 53-ე მაჟორიტარული ოლქი, ვანი-ხონის 54-ე მაჟორიტარული ოლქი, სამტრედიის 55-ე მაჟორიტარული ოლქი, ხულო-შუახევი-ქედის 73-ე მაჟორიტარული ოლქი, ამბროლაური-ონი-ცაგერი-ლენტეხი-მესტიის 58-ე მაჟორიტარული ოლქი, ოზურგეთის 59-ე მაჟორიტარული ოლქი, სიღნაღი-დედოფლისწყარო 25-ე მაჟორიტარული ოლქი, გარდაბნის 31-ე მაჟორიტარული ოლქი, მარნეულის 35-ე მაჟორიტარული ოლქი, ბოლნისის 33-ე მაჟორიტარული ოლქი, თეთრიწყარო/გარდაბნის ნაწილი 32-ე მაჟორიტარული ოლქი, წალკა/დმანისი/ბოლნისის 34-ე მაჟორიტარული ოლქი, დუშეთი-თიანეთი-ყაზბეგის 38-ე მაჟორიტარული ოლქი და მარტვილი/აბაშის 62-ე მაჟორიტარული ოლქი.





დანარჩენ 34 მაჟორიტარულ ოლქში კი მეორე ტური გაიმართება.

34 ოლქიდან 32 ოლქში ერთმანეთს „ოცნებისა“ და ნაციონალების კანდიდატები დაუპირისპირდებიან. ჭიათურაში „ოცნების“ კანდიდატს თავისუფალი დემოკრატების ფალავანი დაუპირისპირდება, ხაშურში კი მეოცნებე ვალერი გელაშვილის კონკურენტი მრეწველი სიმონ ნოზაძე იქნება.

რეგიონების მსგავსად, მეორე ტურები ჩატარდება თბილისშიც. 22 ოლქიდან მეორე ტური 18 ოლქში გაიმართება.

18-დან 1 ოლქში ერთმანეთს თავისუფალი კანდიდატი და ნაციონალი დაუპირისპირდებიან, დანარჩენ ოლქებში კი ერთმანეთის წინააღმდეგ ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები წარდგებიან.

მთაწმინდის პირველ მაჟორიტარულ ოლქში ხმათა ყველაზე მეტი რაოდენობა, 44,4%, დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა მიიღო. ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ გამოდგა და ის მეორე ტურში მეორე ადგილზე გასულ ნიკა რურუას დაუპირისპირდება.

ვაკის მე-2 მაჟორიტარულ ოლქში 48,83%-ით ლიდერობს „ქართული ოცნების“ კანდიდატი ბიძინა გეგიძე. ის მეორე ტურში ნაციონალების კანდიდატ ელენე ხოშტარიას დაუპირისპირდება.

საბურთალოს მე-6 საარჩევნო უბანზე კენჭს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი იყრიდა. ყველას ეგონა, რომ ის მეორე ტურში მაინც გავიდოდა. ამ ოლქში მართლაც დაინიშნა მეორე ტური, მაგრამ უსუფაშვილი მეორე ტურის მიღმა დარჩა. აქ მეორე ტურში ერთმანეთს მეოცნებე ლევან გოგიჩაიშვილი და ნაციონალი სევდია უგრეხელიძე შეერკინებიან.

მეორე ტური დაინიშნა კრწანისის მე-7 ოლქშიც, სადაც „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ბექა ოდიშარიამ 47,92%-იანი მხარდაჭერა მიიღო. მეორე ტურში მისი კონკურენტი ნაციონალი ირაკლი აბესაძეა.

მეორე ტურს ისნისა და სამგორის მაჟორიტარული ოლქებიც ვერ გადაურჩნენ. ისნის მე-8 ოლქში „ქართული ოცნების“ ფალავან ირაკლი აბუსერიძეს ნაციონალი გოგა ონიანი ეკვეთება.



ამავე რაიონის მე-9 ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატ დავით ჭიჭინაძეს მეორე ტურში ნაციონალ ბესიკ კვიციანთან მოუწევს ბრძოლა.

ისნის მე-10 ოლქში მეოცნებე ბექა ნაცვლიშვილის კონკურენტი ნაციონალი ზაზა კედელაშვილი იქნება.

სამგორის მე-11 მაჟორიტარულ ოლქში მეოცნებე გიორგი მოსიძეს ნაციონალი ირაკლი ნადირაძე დაუპირისპირდება.

ამავე რაიონის მე-12 ოლქში მეოცნებე მარიამ ჯაშის კონკურენტი ნაციონალი დავით ჟღენტი იქნება.

სამგორის მე-13 ოლქში მეოცნებე შოთა ხაბარელს ნაციონალ გიორგი ხახნელიძესთან მოუწევს ბრძოლა.

დიდუბეშიც მეორე ტურისთვის ემზადებიან. მე-15 ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატ ზაზა პაპუაშვილს ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი დავით ნაფეტვარიძე დაუპირისპირდება.

დიდუბის მე-16 ოლქში მეოცნებე ივლიანე წულაიას კონკურენტი ნაციონალი მოძრაობიდან ირაკლი დვალი იქნება.

არჩევნების მეორე ტური გაიმართება ჩუღურეთის მე-17, მე-18 და მე-19 ოლქებშიც.

მე-17 ოლქში მეოცნებე სოფიო კილაძეს მეორე ადგილზე გასული ნაციონალი მურმან თხელიძე დაუპირისპირდება.

მე-18 ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატ მიხეილ ყაველაშვილს ნაციონალ მამუკა გუგეშაშვილთან მოუწევს ბრძოლა.

მე-19 ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატ ზაზა გაბუნიას კონკურენტი ნაციონალი ლერი დემეტრაშვილი იქნება.

გლდანის სამივე მაჟორიტარულ ოლქშიც მეორე ტურებში გამოვლინდება გამარჯვებული.

ამ რაიონის მე-20 ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატ კობა კობალაძეს კონკურენციას ნაციონალი ალექსანდრე ჩაფიჩაძე გაუწევს.

გლდანის 21-ე მაჟორიტარულ ოლქში მეოცნებე ლევან კობიაშვილს ნაციონალ სერგო რატიანთან მოუწევს ბრძოლა.

23-ე საარჩევნო ოლქში კი „ოცნების“ კანდიდატ ლევან კობერიძეს ნაციონალ გია ბარამიძესთან ექნება დაპირისპირება.

ვაკის მე-3 ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ზაზა ხუციშვილმა პირველივე ტურში მოიპოვა გამარჯვება.



მისი ბედი გაიზიარა საბურთალოს მე-4 მაჟორიტარულ ოლქში წარდგენილმა მეოცნებე მამუკა მდინარაძემ. საბურთალოს მე-5 ოლქიც მეოცნებე კანდიდატმა ნინო გოგუაძემ მოიგო. პირველივე ტურში მოიგო არჩევნები გია ვოლსკიმ.

**მაჟორიტარულ ოლქებში გამარჯვებული დეპუტატების სია ასე გამოიყურება:**

ზაზა ხუციშვილი; მამუკა მდინარაძე; ნინო გოგუაძე; გია ვოლსკი; ირაკლი შიოლაშვილი; სავალან მირზოევი; გოდერძი ჩანქსელიანი; გოგი მეშველიანი; კახა ოქრიაშვილი; რუსლან გაჯიევი; ზაქარია ქუცნაშვილი; გიორგი თორთლაძე; გედევან ფოფხაძე; ენძელ მკოიანი; ელგუჯა გოცირიძე; პაატა კვიჟინაძე; გიორგი ლილუაშვილი;

გრიგოლ მიქელაძე; ცოტნე ზურაბიანი; გოჩა ენუქიძე; არჩილ თალაკვაძე; ოთარ დანელია და ანზორ ბოლქვაძე.



# კვირიკაშვილი: „ნაციონალები ცდილობენ, ამომრჩეველი კონფრონტაციის გზით წაიყვანონ“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ საპარლამენტო არჩევნების შედეგები შეაფასა.

– მინდა, მივულოცო ყველას, საქართველოში 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები შედგა. ეს იყო დემოკრატიული არჩევნები და მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს ხალხს მაღალი აქტივობისთვის, ასევე მადლობა მინდა გადავუხადო საერთაშორისო ორგანიზაციებს აქტიური ჩართულობისთვის, – განაცხადა პრემიერმა.

მან აღნიშნა ეუთოს შეფასება, რომ არჩევნებმა ჩაიარა კონკურენტულ და გამჭვირვალე გარემოში და მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს.

– „ქართული ოცნების“ გამარჯვება არის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელსაც ჩვენი გუნდი გაათმაგებული შრომით უპასუხებს. ბევრ საარჩევნო ოლქში მოსალოდნელია მეორე ტური. ეს არის დემოკრატიულობის მაჩვენებელი, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა მაჟორიტარებს ასეთი მაღალი ბარიერის გადალახვა უწევთ, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, პროცესები პროვოკაციის, ამომრჩეველი იზოლაციისა და კონფრონტაციის გზით წაიყვანოს.

– მინდა, მადლობა გადავუხადო მედიას, რომელიც მთელ წინასაარჩევნო პროცესებსა და არჩევნების დღეს ამომრჩეველს აწვდიდა ობიექტურ ინფორმაციას. გილოცავთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

**ნიუსპრესი**



# უკრაინული პრესა: „ნახვამდის, მიშა!“

უკრაინულ გამოცემა „კპ ვ უკრაინე“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორის, საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადება საქართველოში დაბრუნების შესახებ, რომელიც მან ნიუ იორკში ყოფნისას გააკეთა:

– მე განზრახული მაქვს, საქართველოში დავბრუნდე და არჩევნების შედეგები დავიცვა. ბიძინა ივანიშვილი იმიტომ ყვირის, თუ მიხეილ სააკაშვილი ჩამოვა, დავიჭერთ, მისთვის ცალკე კამერა მაქვს გამზადებულიო, რომ ჩემი პანიკურად ეშინია, – თქვა ექსპრეზიდენტმა და დაამატა, რომ იგი საქართველოში უკრაინის ეროვნული პოლიციის უფროს ხატია დეკანოიძესაც წაიყვანს და მას შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნავს.

მასალაში მოცემულია აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილის კომენტარი მიხეილ სააკაშვილის განცხადებაზე: „გაბედოს ერთი მოსვლა... როგორც კი მოვა, იმ წუთში დავიჭერთ!“

პარლამენტის ექსსპიკერმა ნინო ბურჯანაძემ კი საჯაროდ განაცხადა, რომ ქართველ სამართალდამცველებს მიხეილ სააკაშვილის დაჭერაში დაეხმარება:

– მე მინდა ვუთხრა მიხეილ სააკაშვილს: შენ გამბედაობა არ გეყოფა საქართველოში ჩამოსვლაზე და თუ მაინც გაბედავ, 26 მაისის



აქციის მონაწილეები დაგხვდებიან, დაგიჭერენ და იქ გაგისტუმრებენ, სადაც შენი ადგილია – საპყრობილეში.

საქართველოში მიხეილ სააკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეა აღძრული. ერთ-ერთი საქმე სულ ახლახან აღიძრა, როცა ექსპრეზიდენტსა და მის თბილისელ ამფსონებს შორის გამართული სატელეფონო საუბარი გამოქვეყნდა, რომლის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი ნაციონალური მოძრაობის წევრებს ქვეყანაში არჩევნების შემდგომ რევოლუციის მოხდენაზე ესაუბრება.

– მიხეილ სააკაშვილისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისმა პარტიამ არჩევნებში გაიმარჯვოს. თუ ნაციონალები გაიმარჯვებენ, ისინი შექმნიან ახალ მთავრობას. მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის სავარძელს უმიზნებს. ამიტომაც აცხადებს, შინაგან საქმეთა მინისტრად ხატია დეკანოიძეს დავნიშნავო, – განუმარტა გაზეთის კორესპონდენტს მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთმა თანამოაზრემ.

* * *

რას ფიქრობენ ოდესელები მიხეილ სააკაშვილის შესაძლო წასვლაზე საქართველოში?

ტაქსისტი ალექსანდრე ამ კითხვაზე მხრებს იჩეჩს და ამბობს:

– რაში გამოგვადგა მიხეილ სააკაშვილი? მე პირადად არაფერში. ცხოვრება უარესდება, ფასები მატულობს... თუ ამბობს, წავალო, წავიდეს. მისი წასვლით არ დამთბება და არც შემცივდება.

ასეთი განწყობა ბევრ ოდესელს აქვს: ისინი ხომ თავის დროზე გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილისგან სასწაულის მოხდენას ელოდნენ: ეკონომიკურ კეთილდღეობას ერთ ცალკე აღებულ ქალაქში, გზების მშენებლობას, კრიმინალთან ბრძოლას... მან თავისიანებიც მოიყვანა ოდესაში, მაგალითად, ოდესის პოლიციის უფროსად – გიორგი ლორთქიფანიძე, კიევშიც ბევრი ჰყავს თანამოაზრე. შესაბამისად, ბევრი წარმატებას ელოდა მიხეილ სააკაშვილისაგან.

ოდესის ოლქის გუბერნატორი თავის ერთ-ერთ დამსახურებად ოდესა-რენის გზის მშენებლობის დაწყებას მიიჩნევს. ახლა მოქალაქეები ნერვიულობენ: რა ბედი ელის გზის მშენებლობას?

მიხეილ სააკაშვილის საქმიანობის კიდევ ერთი მიმართულებაა ოდესის საბაჟოს რეფორმა. როგორი იქნება სიტუაცია? გაგრძელდება კიევთან ბრძოლა?

– საქმე ისე იქნება, როგორც აქამდე იყო: მოდიან, ძველს ანგრევენ, ვითომ ახლის მშენებლობას იწყებენ და შუა გზაზე მიატოვებენ... მერე ისევ ვიღაც მოვა... ძალიან მენანება საზღვაო ვაგზალი, რომელიც ტურისტებისათვის ჩვენი ქალაქის სავიზიტო ბარათი იყო. კიდევ კარგი, დიუკ რიშელიეს ძეგლის სხვა ადგილზე გადატანა ვერ მოასწრეს, – ამბობს ოდესელი სოფია, რომელიც საზღვაო ვაგზალთან ახლოს მდებარე მაღაზიაში მუშაობს.

**ნიუსპრესი**

# სოფელ ყიზილაჯლოში დაშავებული 5 პოლიციელის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია




საპარლამენტო არჩევნების დროს მარნეულის რაიონის სოფელ ყიზილაჯლოში, 48-ე საარჩევნო უბანზე მომხდარი დაპირისპირების დროს დაშავებული 5 პოლიციელის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია.

როგორც ინტერპრესნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ერთ-ერთი მათგანი, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე რამინ ისმაილოვი კვლავ რჩება ინგოროყვას სახელობის საავადმყოფოში. მას ოპერაცია ჩაუტარდა და ამ დროისთვის მკურნალობის კურსს საავადმყოფოში აგრძელებს.

დანარჩენი 4 პოლიციელი მკურნალობის კურსს სახლში გადის.

დაშავებული პოლიციელი პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა მოინახულეს.

# თამარ ჟვანია: „რამდენიმე მუნიციპალიტეტში გამგებლების არჩევნების მეორე ტური ჩატარდება“



– რამდენიმე მუნიციპალიტეტში, შესაძლოა, გამგებლის არჩევნების ნაწილშიც მეორე ტური ჩატარდეს, – ამის შესახებ გუშინ, 9 ოქტომბერს გამართულ ბრიფინგზე ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ განაცხადა.

საკრებულოს შუალედური და ასევე გამგებლისა და მერის რიგგარეშე არჩევნების წინასწარი შედეგები ცესკოს ვებგვერდზეა განთავსებული.

8 ოქტომბერს ახალციხეში – მერის, ხოლო ბოლნისის, ხარაგაულის, ჭიათურის, ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში გამგებლების არჩევნები ჩატარდა.

საკრებულოს შუალედური არჩევნები გაიმართა თბილისის (კრწანისი, ისანი, გლდანი), წალკის, ჭიათურის, აბაშისა და ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო ოლქებში.

მერებისა და გამგებლების არჩევა 50%-იანი ბარიერის პირობებში ხდება, ხოლო საკრებულოს მაჟორიტარად არჩეულად ის კანდიდატი ითვლება, რომელიც სხვაზე მეტ ხმას მიიღებს.

**ინტერპრესნიუსი**

# ყველაზე მშვიდობიანი ქვეყნები დასახელდა



ბრიტანულმა გამოცემა ტელეგრაფმა ყველაზე მშვიდობიანი ქვეყნები დაასახელა. რეიტინგის გამოქვეყნება კოლუმბიის პრეზიდენტ ხუან მანუელ სანტოსისთვის ნობელის მშვიდობის პრემიის გადაცემას დაუკავშირეს.

„16 ქვეყანა, რომლებსაც არმია არ ჰყავთ“, – ასე დაასათაურა გამოცემამ თავისი მასალა. აღნიშნულ სიაში, კერძოდ, წარმოდგენილია კოსტა-რიკა, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის უნივერსიტეტია განთავსებული.

რეიტინგში ასევე მოხვდნენ ლიხტენშტეინი, სამოა და ანდორა. მშვიდობისმოყვარე ქვეყნების სიაში ასევე შევიდნენ დომინიკა, ტუვალუ, ვატიკანი და გრენადა.

გარდა ამისა, ბრიტანული გამოცემა ასახელებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა კირიბატი, ნაურუ, სენტ-ლიუსია, სენტ-ვინსენტი და გრეადინი, სოლომონის კუნძულები. დაბოლოს, სიაში მოხვდნენ მარშალის კუნძულები, მიკრონეზიის ფედერალური შტატები, პალაუ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ალეპოსთვის ბრძოლები გრძელდება



სირიაში ბრძოლები გრძელდება. ასადის მხედრობა ჰივეიჯის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რაიონში შეიჭრა. შემდგომი მოვლენები ჩვეულებისამებრ განვითარდა. პარტიზანები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და ასადის მომხრეები იქიდან განდევნეს. ამას ალეპოს თავზე რუსული გამანადგურებლების გამოჩენა მოჰყვა. დაიწყო დაბომბვა.

შედეგად არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის.

პარტიზანები, რომელთაც ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებები არ გააჩნიათ, იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. ასადის არმიამ ჰუვეიჯის რაიონზე კონტროლი აღადგინა, თუმცა ქალაქისთვის ბრძოლები არ წყდება.

ალეპო, ფაქტობრივად, ნანგრევებადაა ქცეული. განსაკუთრებითი დიდი მსხვერპლია მშვიდობიან მოსახლეობაში, მოხუცებში, ქალებსა და ბავშვებში.

ალეპოელ ბავშვებზე მთელი მსოფლიოს პრესა წერს. უმრავლესობა მათგანს დაეღუპა მშობლები, ახლობლები, დაენგრა სახლ-კარი. ბავშვები ნანგრევებში ცხოვრობენ. ბევრი მათგანი ჭურვზე აფეთქდა და დაინვალიდდა, ბევრ ბავშვს ფსიქიკური აშლილობა დაეწყო.

აუცილებელია ჰუმანიტარული დერეფნის გაკეთება, ბავშვების, ქალებისა და მოხუცების ალეპოდან გაყვანა, მაგრამ რუსები ამის საშუალებას არ იძლევიან.

ასადის არმია ფრონტის სხვა უბნებზეც ცდილობს წინსვლას. ჰამსის მახლობლად მან რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავა. პარალელურად შეტევას ისლამისტებიც ახორციელებენ. მათ პროთურქული ორიენტაციის პარტიზანებს დაარტყეს და რამდენიმე სოფლიდან განდევნეს.

ისლამისტების ხელში აღმოჩნდა ის ტანკები და რაკეტები, რაც პარტიზანებს თურქეთის ხელისუფლებამ გადასცა.

სირიაში შექმნილი ვითარება გაეროს უშიშროების საბჭოზე განიხილეს. საფრანგეთის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ სირიაში როგორც რუსული, ისე ასადის სამხედრო თვითმფრინავების ფრენა აეკრძალათ. რუსეთი ამის წინააღმდეგ წავიდა. მას მხარი მხოლოდ ვენესუელამ დაუჭირა. რუსეთის წარმომადგენელმაც ვეტოს უფლება გამოიყენა და გადაწყვეტილების მიღება დაბლოკა.

რუსებმა წარმოადგინეს ალტერნატიული პროექტი, რომლის თანახმადაც, ალეპოდან ისლამისტების ფორმირებები უნდა გაეყვანათ. ამას გაეროს უშიშროების საბჭოს წევრმა სხვა ქვეყნებმა მხარი არ დაუჭირეს.

სირიაში ბრძოლები გრძელდება.

**ნიკა თევზაძე**

## რესპუბლიკელებს ტრამპის არჩევნებიდან მოხსნა უნდათ



გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნდა პრეზიდენტობის კანდიდატ დონალდ ტრამპის საუბრის ჩანაწერები.

ტრამპი ქალების მიმართ ვულგარულ გამოთქმებს ხმარობს. ამან ბევრის უკმაყოფილება გამოიწვია. ტრამპის წინააღმდეგ მისივე პარტიის წევრები გამოვიდნენ, მათ შორის ისეთი ცნობილი მოღვაწეებიც კი, როგორებიც არიან ჯონ მაკეინი, კეი ელიოტი, კონდოლიზა რაისი და ა.შ.

– ტრამპმა თავისი კანდიდატურა აუცილებლად უნდა მოხსნას! შეუძლებელია, რომ ასეთი ადამიანი პრეზიდენტი გახდეს, – ამბობს კონდოლიზა რაისი.

თავად ტრამპმა თავის გამოთქმებზე ბოდიში მოიხადა, მაგრამ კანდიდატურის მოხსნაზე კატეგორიული უარი განაცხადა. „უოლ სთრით ჯორნალის“ წარმომადგენელთან საუბარში მან თქვა:

– მე ჩემს საარჩევნო კამპანიას ბოლომდე მივიყვან და გავიმარჯვებ!

რესპუბლიკურ პარტიაში ტრამპის საარჩევნო მარათონიდან ჩამოშორების საკითხს განიხილავენ. სიტუაციას ართულებს ის, რომ არჩევნებამდე სულ ერთი თვე დარჩა, ტრამპი კი კანდიდატურის მოხსნაზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

## კალინინგრადში ისკანდერის ტიპის რაკეტები განათავსეს



პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, რუსეთმა კალინინგრადში ისკანდერის ტიპის რაკეტები გადაისროლა. ოფიციალურმა კრემლმა ეს არ უარყო.

– რაკეტები კალინინგრადში მართლაც გადავისროლეთ, მაგრამ ამას თავდაცვითი ხასიათი აქვს, – განაცხადა პუტინის პრესმდივანმა პესკოვმა.

პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა მაჩერევიჩმა პასუხად აღნიშნა, რომ პოლონეთს შესწევს ძალა როგორც საკუთარი, ასევე თავისი მოკავშირეების უსაფრთხოება დაიცვას.

## უნგრეთში ოპოზიციურ პრესას დევნიან



უნგრეთში ყველაზე მსხვილი ოპოზიციური გაზეთი „ნეპადაგშაგი“ დაიხურა. პრემიერმა ორბანმა განაცხადა, რომ ხელისუფლებას ამაში არავითარი ბრალი არ მიუძღვის.

– გაზეთი იმის გამო დაიხურა, რომ ხალხი მას არ ყიდულობდა, – თქვა ორბანმა.

დამოუკიდებელი ექსპერტები კი ამტკიცებენ, რომ ხელისუფლება ოპოზიციურ პრესაზე ზეწოლას ახორციელებს. „ნეპადაგშაგმა“ გამოაქვეყნა მასალები, რომლებიც პრემიერ ორბანის გარემოცვაში კორუფციის ფაქტებს ამხელდა, შედეგმაც არ დააყოვნა. გაზეთი დაიხურა.

## დონბასი: რუსეთი სამხედრო ტექნიკის გადასროლას განაგრძობს

უკრაინის სამხედრო დაზვერვის ინფორმაციით, რუსეთმა დონბასში დამატებით 30 ტანკი, 5 გრადის ტიპის რეაქტიული დანადგარი და 400 ტონა საბრძოლო მასალა გადაისროლა.



უკრაინის მთავრობამ მომხდარის გამო პროტესტი გამოთქვა. კრემლმა ბრალდება უარყო.

## დაბომბვა იემენში

უცნობი თვითმფრინავების მიერ იემენის დედაქალაქის დაბომბვის გამო გაერომ ოფიციალური პროტესტი განაცხადა.



დაბომბვა სამგლოვიარო ცერემონიისას მოხდა, დაღუპულია 110 კაცი.

გაეროს განცხადებაში ნათქვამია, რომ უნდა მოხდეს ინციდენტის საგანგებო გამოძიება, დამნაშავენი კი უნდა დაისაჯონ.

## შეტაკებები ჩეჩნეთში

ჩეჩნეთში ადგილობრივ პარტიზანებსა და რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შორის შეტაკებები არ ცხრება.



გუდერმესის რაიონში რუსებმა პარტიზანებზე იერიში მიიტანეს. არის მსხვერპლი.

მოკლულია 7 კაცი, აქედან 4 რუსი სპეცრაზმელია, 3 – მებრძოლი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავისმკურნალობა,კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში დინამო და ქუთაისი ითამაშებენ

დუდუ დადიანის მემორიალის ფინალისტები ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩებში გამოვლინდნენ. ტრაგიკულად დაღუპული კალათბურთის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტის რიგით მე-15 გათამაშების ფინალში ერთმანეთს ქუთაისი და დინამო შეხვდებიან.

**რუსთავი-ქუთაისი 78:88**
**(12:28, 18:26, 25:20, 23:14)**

კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისმა ფინალში გასასვლელ მატჩში რუსთავი 88:78 დაამარცხა. ქვემო-ქართლურ გუნდს პირველ ტურში სოხუმი ჰყავდა დამარცხებული და ქუთაისელებთან წარმატების შემთხვევაში ფინალში გადიოდა. რუსთაველებს გასვლის თეორიული შანსი კი ჰქონდათ, მაგრამ თამაშის მსვლელობის გათვალისწინებით, რეალობამდე საკმაოდ შორს იყო.



პირველი მეოთხედის შემდეგ ქუთაისი 28:12 იგებდა, ხოლო დიდი შესვენებისთვის მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო – 54:30. გიორგი ცინცაძის წინამძღოლობით ქუთაისელებს არ უჭირდათ რუსთაველთა დაცვითი ჯებირის გარღვევა. წინა ხაზში ბექა ბექაურისა და დეიან ბიელიჩის აქტიურობით, რომლებსაც ხელს ვახტანგ ქადარიაც აშველებდა, ქუთაისელებმა ფარქვეშ სოლიდურ უპირატესობას მიაღწიეს და გასამარჯვებლად საკმარისი ლიდერობა დიდი შესვენებისთვის დაიბევეს.

ფორმალობად ქცეულ მეორე ნახევარში ბევრი არაფერი შეცვლილა. ქუთაისელთა მწვრთნელმა სასტარტოების დასვენებას მიჰყო ხელი, რაც ანგარიშის სხვაობის შემცირებაში გამოიხატა. საბოლოოდ რუსთაველებმა 10 ქულამდე მოახერხეს ჩამორჩენის გაბათილება.

ქუთაისელთა შორის 21 ქულითა და 14 მოხსნით ბექა ბექაური გამოირჩა. 17 ქულა და 7 მოხსნა ბიელიჩის ანგარიშზე დაგროვდა. ცინცაძემ მოედანზე ყოფნის 18 წუთში 14 ქულა, 7 მოხსნა და 6 პასი მიითვალა. რუსთაველთა ბომბარდირი 16 ქულით ქეის კასპერბაუერი გახდა, ტომი სპანოლომ კი ორმაგი დუბლი – 15 ქულა და 11 მოხსნა გაიფორმა.

**მგზავრები-დინამო 75:83 (ოტ)**
**(23:23, 23:11, 14:22, 11:15, 4:12)**

მეორე ფინალისტი დინამოსა და მგზავრების დაძაბულ მატჩში გამოვლინდა. მგზავრებს პირველი მატჩი 21 ქულით ჰქონდა ოლიმპთან წაგებული, და ფინალში გასასვლელად დინამოს 22 ქულით დამარცხება სჭირდებოდა. მგზავრებმა ამ რთული მისიის შესრულება კარგად დაიწყეს და პირველი ტაიმის შემდეგ 12 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ დინამომ მესამე პერიოდის 22:14 მოგებით ჩამორჩენა 4 ქულამდე შეამცირა და ბოლო მეოთხედში ანგარიში სულაც გაათანაბრა.

ცხადი იყო, რომ მგზავრები ფინალში ვეღარ გავიდოდნენ, თუმცა ნებისმიერი სხვაობით მოგება მათი პრესტიჟის საქმე იყო. თანაც, დინამოს წაგების შემთხვევაში, ფინალში ბ ჯგუფის მესამე მონაწილე ოლიმპი გადიოდა. ბოლო წამებამდე დაძაბული ბრძოლა გაგრძელდა. მგზავრებს გამარჯვებამდე მცირედი აკლდა, თუმცა ძირითადი დროის დასრულებამდე 3 წამით ადრე მიხეილ ბერიშვილმა, რომელმაც წინა შეტევაში ფარქვეშ მარტო მდგარმა ააცილა, სამქულიანი ჩააგდო და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებით ხუთწუთეულში დინამოელებმა სამქულიანებით მოახერხეს მგზავრების გატეხა და ფინალში ქუთაისს შეუერთდნენ.

დინამოს 20 ქულით და 16 მოხსნით ილია ლონდარიძემ ულიდერა. 13 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა ენტონი მორისმა, მიხეილ ბერიშვილმა კი გამარჯვებულებს 14 ქულა მიაშველა. დინამოში დებიუტი ჰქონდა შსს-აკადემიას შემადგენლობაში 2013 წლის საქართველოს ჩემპიონ დეონტა ვონს. ამერიკელმა ლეგიონერმა 13 ქულა და 7 პასი მიითვალა. მგზავრებში 19 ქულით საუკეთესო იყო ოთარ ფხაკაძე, ქარიმ კალების ანგარიშზე კი 14 ქულა დაგროვდა.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# არველაძეების ფონდის საფეხბურთო თერაპია

ფეხბურთი ხშირად ოჯახურ ისტორიებს უკავშირდება. ხშირია შემთხვევა, როცა ფეხბურთელი მამის კვალს მისი შვილი მიჰყვება ან როცა ერთი გუნდის მაისურით ორი ძმა თამაშობს, თუმცა იშვიათი, უჩვეულო და შთამბეჭდავი ფაქტია, როდესაც სამმა ძმამ, ერთდროულად ჯერ ერთი კლუბის, შემდეგ კი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა.



რევაზ, არჩილ და შოთა არველაძეებმა ევროპული კარიერის დაწყებამდე, ერთად 3 წლის მანძილზე ითამაშეს დინამო თბილისში.

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ძმებმა დააფუძნეს საქველმოქმედო ორგანიზაცია – ფონდი არველაძე, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელებს ეხმარება.

საფეხბურთო თერაპია – ასე ჰქვია პროექტს, რომელიც ფონდმა რამდენიმე თვის წინ დაიწყო. პროექტის ფარგლებში, საქართველოს საზღვრისპირა სოფლებისა და ოკუპირებული რეგიონებიდან დევნილ ბავშვებს სრულიად უსასყიდლოდ აქვთ ფეხბურთის თამაშის შესაძლებლობა.

# 19 წლამდე ნაკრები სერბეთთან ფრეს დასჯერდა

**საქართველო-სერბეთი 1:1**
**თბილისი. მიხეილ მესხი**




0:1 რაჩიჩი (3პ), 1:1 კობოური (51)

**საქართველო:** გუგეშაშვილი, კობოური, ფოჩხუა, გოგილაშვილი (კოხრეიძე 64), არაბიძე (ჩოგაძე 79), ხუბაშვილი, მალი, ჩაკვეტაძე (არდაზიშვილი 79), კვანტალიანი (ბუღრიძე 64), ქოჩორაშვილი (სამურკასოვი 64), ლაკვეხელიანი

**სერბეთი:** სტანკოვიჩი, ილიჩი (ნიშიჩი 53), დინგა, ბოშნიაკი, გოიკოვი, პეტროვიჩი, ვლაჰოვიჩი (პეტროვი 21), რაჩიჩი (ბირმანჩევიჩი 76), ბლაგოიევიჩი (დუკიჩი 67), ნიკოლიჩი (პეიოვიჩი 53), ზლატანოვიჩი (აჯიჩი 67)

**გაძევება:** პეტროვი (29)

საქართველოს 19 წლამდე ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების პროცესში მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა. გიორგი ყიფიანის გუნდი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე სერბეთს შეხვდა და 1:1 ეთამაშა.

შეხვედრა სტუმართა უპირატესობით დაიწყო, რასაც ზუსტად შესრულებული პენალტი მოჰყვა და სერბეთი უკვე მე-3 წუთზევე დაწინაურდა.

საქართველოს ნაკრებს მცირე დრო დასჭირდა და თამაშიც გამოასწორა. ყიფიანის შეგირდებმა ტემპს მოუმატეს და სერბები მოედანზე კაცნაკლულნიც დარჩნენ. ყიფიანის შეგირდებმა ზედიზედ რამდენიმე მომენტი შექმნეს, მაგრამ პირველ ტაიმში გოლის გატანა ვერ მოახერხეს.

ქართველთა უპირატესობა მეორე ტაიმში უფრო გამოიკვეთა და 51-ე წუთზე დავით კობოურმა თავურით შეძლო ანგარიშის გათანაბრება.

ქართველ 19 წლამდელებს კიდევ ჰქონდათ მომენტები, თუმცა სამჯერ ბურთი ძელს გაარტყეს, საიმედო იყო სერბი მეკარეც.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**8 ოქტომბერი**

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**

**ევროპა**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ნორვეგია | 1:0 |
| ინგლისი-მალტა | 2:0 |
| სომხეთი-რუმინეთი | 0:5 |
| ჩერნოგორია-ყაზახეთი | 5:0 |
| გერმანია-ჩეხეთი | 3:0 |
| პოლონეთი-დანია | 3:2 |
| ჩრ.ირლანდია-სან მარინო | 4:0 |
| სლოვენია-სლოვაკეთი | 1:0 |
| შოტლანდია-ლიტვა | 1:1 |

**აფრიკა**

| | |
|---|---|
| გაბონი-მაროკო | 0:0 |
| დრ.კონგო-ლიბია | 4:0 |
| ბურკინა ფასო-ს.აფრიკა | 1:1 |
| კოტ დივუარი-მალი | 3:1 |
| სენეგალი-კაბო ვერდე | 2:0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| რეუსი-ტენერიფე | 0:0 |
| ვალიადოლიდი-ალკორკონი | 2:0 |
| ნუმანსია-კორდობა | 1:1 |
| ხეტაფე-მურსია | 2:0 |
| ელჩე-ხიმნასტიკი | 4:4 |
| სევილია ბ-სარაგოსა | 2:1 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ნოვარა-ასკოლი | 1:0 |
| ჩიტადელა-ფროზინონე | 2:3 |

## კალეიდოსკოპი

# კიმ კარდაშიანი ძარცვაში საკუთარ თავს ადანაშაულებს



ამერიკელი ტელევარსკვლავი კიმ კარდაშიანი, რომელიც პარიზის სასტუმროში შეიარაღებული ძარცვის მსხვერპლი გახდა, მიიჩნევს, რომ ის თავადაა დამნაშავე მომხდარში. ის ნანობს, რომ სოციალურ ქსელებში საკუთარი სიმდიდრის დემონსტრირებით იყო დაკავებული.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნიუ იორკში ჩასვლის შემდეგ კარდაშიანმა დანაშაულის მიზეზად სოციალურ ქსელებში მის მიერ გამოქვეყნებული ფოტოსურათები დაასახელა, რომელზეც ის თავს იწონებს 4,5 მილიონ დოლარად ღირებული ბეჭდითა და სხვა ძვირფასეულობებით.

– კიმი შოკშია და საკუთარ თავს ადანაშაულებს იმის გამო, რომ აქვეყნებდა სურათებს, რომლებზეც თავს თავისი ნიშნობის ბეჭდით იწონებდა და მუდმივად ატარებდა. გაძარცვამ ის იმაზეც დააფიქრა, თუ როგორ იცვამს და რითია დაკავებული, – განაცხადა ტელევარსკვლავთან დაახლოებულმა პირმა.

სამკაული კარდაშიანს მისმა მეუღლე კანიე უესტმა აჩუქა. აღსანიშნავია, რომ რეპერმა მეუღლისთვის ახალი ბეჭდის ყიდვის სურვილი გამოთქვა, მაგრამ კიმმა უარი თქვა. ასევე მუსიკოსს იმედი აქვს, რომ მომხდარი მათი ოჯახის ცხოვრებაზე გავლენას ვერ მოახდენს.

* * *



კიმ კარდაშიანის პირადმა მცველმა პასკალ დიუვიემ სოციალურ ქსელებში საკუთარ გვერდებზე წაშალა ყველა ჩანაწერი, ფოტოსურათი, ვიდეოფაილი, რომლებზეც კი ტელევარსკვლავი იყო აღბეჭდილი.

ამგვარი ქმედების მიზეზი გახდა პარიზის სასტუმროში კარდაშიანის გაძარცვა. როგორც ჩანს, დიუვიემ სოციალურ ქსელში „წმენდა" განახორციელა, რათა ტელევარსკვლავი განმეორებითი თავდასხმისგან დაიცვას. ასე რომ, ახლა უკვე ინსტაგრამსა და ტვიტერში არაფერი დარჩა ისეთი, სადაც კარდაშიანი თუნდაც ნახსენები იქნება.

კარდაშიანის წარმომადგენლებმა და თავად პირადმა მცველმა აღნიშნულზე კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.

დიუვიე კარდაშიანი-უესტის უსაფრთხოების დაცვას 2012 წლიდან ემსახურება.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტმომხმარებლებს ეჭვი შეეპარათ ძარცვის რეალურობაში. ზოგიერთმა ჩათვალა, რომ კარდაშიანმა ძარცვის ინსცენირება მოაწყო, რათა საკუთარი პერსონის მიმართ ინტერესი გაეძლიერებინა, რომელიც მას შემდეგ მკვეთრად დაეცა, როდესაც საყოველთაო განხილვის საგნად იქცა ბრედ პიტისა და ანჯელინა ჯოლის განქორწინების საქმე.

# ფრენკ სინატრას მამული იყიდება

ამერიკელი მსახიობისა და მომღერლის ფრენკ სინატრას მამული კვლავ გასაყიდადაა გამოტანილი. ამ ინფორმაციას ლოს-ანჯელეს ტაიმსი ავრცელებს. პალმ-დეზერტის (კალიფორნია) თავზე აღმართულ მთებში მდებარე მამულ ვილა მაგიოში 3,9 მილიონ დოლარს ითხოვენ.

ერთი წლის წინ მამული 3,95 მილიონ დოლარად იყიდებოდა, ოღონდ მის გარშემო მდებარე მიწის ნაკვეთის გარეშე, ახლა კი ისიც შედის მამულის ღირებულებაში.

აღსანიშნავია, რომ ფრენკ სინატრა არქიტექტორ როს პეტონთან ერთად მუშაობდა სახლის აშენებაზე, სადაც ის მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად გართობას შეძლებდა, სადაც ის იქნებოდა „უბრალოდ



ფრენკი" და როგორც მოესურვებოდა, ისე იცხოვრებდა.

მამულის ამჟამინდელმა მფლობელებმა ორიგინალური ატმოსფეროს შენარჩუნება მოახერხეს. ტერიტორიაზე, ძირითადი სახლის გარდა, განთავსებულია ორსართულიანი სახლი სტუმრებისთვის, სახლი აუზთან. ყველა ნაგებობას საკუთარი სამზარეულო აქვს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## მსოფლიოში საუკეთესო ბარი დასახელდა

ნიუ იორკის ბარი Dead Rabbit Grocery & Grog-I World,s 50 Best Bars-ის საუკეთესო ბარების რეიტინგში დაწინაურდა.



– ჩვენ რამდენიმე წელი ვცდილობდით ამ ტიტულის მოპოვებას, ისე, თითქოს ოლიმპიური ოქროს მედლისთვის ვიბრძოდით, – განაცხადა ბარის თანამფლობელმა შონ მალდუნმა.

სიაში მეორე და მესამე ადგილზე აღმოჩნდნენ ლონდონური ბარები American Bar და Dandelyan. მეოთხეზე გავიდა Connaught Bar, რომელიც ასევე ბრიტანეთის დედაქალაქში მდებარეობს.

პირველ ათეულში ასევე შევიდნენ კიდევ სამი ნიუიორკული, ორი ლონდონური და ერთიც ათენური ბარი.

სულ კი ტოპ-50-ს სიაში 20 ქვეყნის 27 ქალქის ბარები მოხვდნენ. მათ შერჩევაში 450 ექსპერტი მონაწილეობდა.



## სარა ჯესიკა პარკერი შავ საქორწინო კაბას ნანობს

ტელესერიალის „სექსი დიდ ქალაქში“ მსახიობი სარა ჯესიკა პარკერი შავი საქორწინო კაბის გამო ნანობს. ის 1997 წელს თავის კოლეგა მეთიუ ბროდერიკზე გათხოვდა.

როდესაც პარკერს თავისი გადაწყვეტილების თაობაზე, საკუთარ ქორწილში შავი ფერის საქორწინო კაბა ჩაეცვა, შეკითხვა დაუსვეს, მსახიობმა უპასუხა, რომ მეტისმეტად დაკავებული იყო იმისთვის, რომ დრო საქორწინო კაბის ძებნაზე დაეკარგა.

– არსებობდა მაღაზია, რომელიც მომწონდა, რომელიც ვიცოდი და უბრალოდ მივედი და ვიყიდე ის, რომელიც იქ ჰქონდათ, – განაცხადა პარკერმა, რომელიც ახლა უკვე მიიჩნევს, რომ სხვაგვარად უნდა მოქცეულიყო.

## ედი სლიმანმა სოციალურ ქსელებში ოთხწლიანი დუმილი შეწყვიტა




დიზაინერმა ედი სლიმანმა სოციალურ ქსელებში ოთხწლიანი დუმილი შეწყვიტა. ამ ინფორმაციას გამოცემა ვოგი ავრცელებს. ის ტვიტერში დაბრუნდა, რათა თავი „მცდარი მტკიცებულებებისგან“ დაიცვას ემბლემა YSL-ს გამოყენების თაობაზე, როდესაც ამ მოდის სახლის კრეატიულ დირექტორად მუშაობდა.

ვარაუდობდნენ, რომ სლიმანი ცნობილი აბრევიატურიდან ასო Y-ს მოცილებას ცდილობდა. პასუხად დიზაინერმა გამოაქვეყნა მთელი რიგი ტვიტები, რომლებზეც ლოგოს გამოყენებაა აღბეჭდილი ფოტოსურათებში, კამპანიებში, დიზაინებსა და დეკორაციებში.

როგორც სლიმანის ტვიტერშია აღნიშნული, დიზაინერი სინამდვილეში სათანადო პატივს მიაგებდა „საკულტო ინიციალებს“ YSL-ს.

## ასტროპროგნოზი
### 10 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **კურო** – საყიდლებზე წასვლას პლანეტები არ გირჩევენ. ნავაჭრით უკმაყოფილო დარჩებით. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **კირჩხიბი** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **ლომი** – საოჯახო საქმეები დიდ დროსა და ენერგიას დაგახარჯვინებთ, თუმცა შედეგით კმაყოფილი დარჩებით. ერიდეთ წვრილმან საქმის გარჩევებს. **ქალწული** – ადამიანები გენდობიან. ეცადეთ, მათ იმედი არ გაუცრუოთ. უცნობებს თქვენს საქმეებში ნუ გარევთ. **სასწორი** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია. **ღრიანკალი** – ფინანსური სიძნელეები შეგხვდებათ. მეგობრები ყოველგვარ გასაჭირში უყოყმანოდ დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისათვის მზად იყავით. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **თხის რქა** – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. დღეს დაისვენეთ ან საოჯახო საქმეებს მიხედეთ. **მერწყული** – წინააღმდეგობრივი დღეა. აგრესიისა და ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. **თევზები** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ჩინური ქალაქები უძრავი ქონების გაძვირების ბუმს ებრძვიან

ჩვიდმეტმა ჩინურმა ქალაქმა შეზღუდვები შემოიღო უძრავი ქონების შესყიდვებზე. ჩინეთის ხელმძღვანელობა ცდილობს, ჩააცხროს აჟიოტაჟი, რომლის გამოც ბინების ფასი ბოლო დროს საოცრად გაიზარდა.



საცხოვრებელი ბინების ბაზარზე ბუმი 2015 წლის ბოლოს დაიწყო. ამ დროისთვის ის კვლავაც იზრდება, ვინაიდან „ჩინეთის ეკონომიკის ზრდის შენელების ფონზე მეტისმეტად ბევრი ფული იდება მეტისმეტად მცირე რაოდენობის საინვესტიციო შესაძლებლობებში“, – აღნიშნავს ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა.

თუ ახალ შეზღუდვებზე ვისაუბრებთ, მაგალითად, ერთი ან ორი უძრავი ქონების ობიექტის მფლობელს მეტის შეძენის უფლებას არ აძლევენ.

ასეთი შეზღუდვების დამწესებ ქალაქებს შორის არიან ქალაქები – ჩჟუხაი, დუნგუანი და ფუჩჟოუ.

## ჩრდილოეთ ამერიკაში პირველი სერფინგ-პარკი გაიხსნა

ტეხასში ჩრდილოეთ ამერიკაში პირველი სერფინგ-პარკი გაიხსნა. სპორტულ-გასართობი კომპლექსი ოსტინშია განთავსებული.



პარკი განკუთვნილია, როგორც ახალბედებისთვის, ისე გამოცდილი სერფერებისთვის. ასევე გათვალისწინებულია მეცადინეობები ბავშვებისთვის.

სერფინგისთვის აგებული აუზი თავისი ზომით ამერიკული ფეხბურთის ცხრა მოედანს უდრის.

პარკის შექმნაზე მუშაობდა სერფერი და ინჟინერი დარ კორსი. მის დაგეგმარებას 20 წელი დასჭირდა. კორსს ესპანური საპროექტო ფირმა ეხმარებოდა.

## შვეიცარიული სასტუმრო ინტერნეტსენსაციად იქცა

შვეიცარიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო მას შემდეგ იქცა ინტერნეტსენსაციად, როდესაც თრეველ-ბლოგერმა ინსტაგრამში მასზე ვიდეო განათავსა.



ვიდეოზე ასახულია, რომ ფირვალდშტეტის ტბის ნაპირთან მდებარე სასტუმროს აუზში, რომელიც სახურავზეა განთავსებული, ჩადის პიროვნება. ის თავად იღებს ამ ყველაფერს, ხოლო აუზიდან მთების უმშვენიერესი ხედი იშლება.

სასტუმროს უფროსმა განაცხადა, რომ ადმინისტრატორები დღედაღამ განუწყვეტლივ იღებენ სატელეფონო ზარებს და ასევე დღეში ასობით წერილს იღებენ მთელი მსოფლიოდან.

ვიდეორგოლმა უკვე 120 მილიონზე მეტი ნახვა და გადაწერა მიიღო, ხოლო სასტუმროს ნომრები 2017 წლის აპრილამდეა დაჯავშნილი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## დანგრეული „ტაჯ-მახალის“ ნაკვეთი 30 მილიონად იყიდება

მიწის ნაკვეთი ავსტრალიაში, რომელზეც დანგრეული სახლი „ტაჯ-მახალი“ მდებარეობს, გასაყიდადაა გამოტანილი და ის 30 მილიონ დოლარადაა შეფასებული.



ვარაუდობდნენ, რომ „ტაჯ მდინარე სონზე“ ქვეყნის ყველაზე ძვირადღირებული უძრავი ქონების ობიექტი გახდებოდა, თუმცა 70 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტი ექვსი წლის წინ იქნა მიტოვებული, როდესაც ინდოელების წყვილი პანკაჯი და რადიკა ოსვალი გაკოტრდნენ.

მშენებლობა სანახევროდ იყო დასრულებული. ტერიტორიაზე უნდა აგებულიყო ეკლესია, ობსერვატორია, 17-ადგილიანი ავტოსადგომი. ნაგებობის დანგრევა მხოლოდ ამ შემოდგომაზე დაიწყო, მას შემდეგ, რაც ხანგრძლივი სასამართლო განხილვა დასრულდა.

ნაკვეთის საერთო ფართი თითქმის 6,6 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს და ის იყიდება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მისით დაინტერესება საკმაოდ დიდია. ასევე გამორიცხული არ არის, რომ ის უფრო მცირე ნაკვეთებად დაყონ.

## სკანვორდი



1. დიონისეს მხლებელი ავხორცი არსება ბერძნულ მითოლოგიაში; 2. ესპერანტოს ვარიანტი; 3. შესატყვისი, მსგავსი; 4. მხატვარი ... თოიძე; 5. კოლხი მედეას დედა; 6. ერთგვარი პეპელა; 7. ქიმიური ელემენტი (ლითონი); 8. საყანწე მასალა; 9. ქალბატონი (გერმანულად); 10. ხის ქერქქვეშ მკვრივი ნაწილი; 11. ქალაქი კოლუმბიაში; 12. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი; 13. ... მეღვინეთუხუცესი; 14. უქოჩრო თუთიყუში; 15. ამოსახსნელი მათემატიკური ამოცანა; 16. ნოტი; 17. სადეზინფექციო სითხე; 18. სახოტბო თხზულება (მის ავტორად ჩახრუხაძეა მიჩნეული); 19. საგრილობელი; 20. ასო „ნ“-ს სახელწოდება; 21. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 22. პატარა სამგზავრო ჭურჭელი წყლისთვის; 23. თაფლითა და ქიშმიშით შეზავებული მოხარშული ხორბალი; 24. იზაბელ ...; 25. იაპონიის ფულის ერთეული; 26. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 27. ფრანგი მწერალი (1862-1941); 28. მარტი ძველქართულად; 29. საცალფეხო გზა; 30. „მე, ბებია, .... და ილარიონი“; 31. იტალიელი ფერმწერი (1573-1610); 32. თიხის ან ფაიფურის პატარა ჩასაბერი საკრავი; 33. ხმის გამოძახილი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გიშერი; 2. იანძი; 3. „ბრიუგე“; 4. ალუშტა; 6. შტრაუსი; 9. დუბნა; 11. რიტუალი; 15. რუდიმენტი; 16. ბემოლი; 17. ბიურგერი; 19. აბსურდი; 21. „ჰამლეტი“; 22. ანდები.

**თარაზულად:** 5. ვიბრაცია; 7. ტრავმა; 8. „რუზინე“; 10. რუბრიკა; 12. ტიბრი; 13. კლიშე; 14. მონორელსი; 18. დიუმა; 20. ჩელინი; 23. ანემია; 24. მილი; 25. მალაგა; 26. ბუტი; 27. ოტიატრი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იალბუზი; 2. საქარინი; 3. პორტიე; 4. ქცევა; 5. ჰაბიტუსი; 8. „ბარახასი“; 12. რომი; 13. პოლემიკა; 14. არაგვი; 16. შარიათი; 18. კოდაი; 20. სურო.

**თარაზულად:** 6. საფიჩხია; 7. პრომოცია; 8. ბეჟარი; 9. ფურკა; 10. ფიტარეთი; 11. აფერისტი; 15. სოლისიტორი; 17. „ციბონა“; 19. ვილსდორფი; 21. მიურიდი; 22. საკვოიაჟი; 23. გომბორი.

# ქეთი ფარესაშვილს კონცერტისთვის ჩარიცხული ჰონორარი დააბრუნებინეს



მომღერალ ქეთი ფარესაშვილს კონცერტისთვის ჩარიცხული ჰონორარი ორგანიზატორებმა უკან დააბრუნებინეს.

ინფორმაცია ამის შესახებ მომღერალმა თავად გაავრცელა:

– ერთ საარჩევნო კონცერტზე, სხვა ქალაქში, ნაცნობობით ვიყავი მიწვეული.

კონცერტი თავიანთი მიზეზით გადაიდო, თანხა კი უკვე გადმორიცხული ჰქონდათ. საუბარია მიზერზე.

ჯერ ხომ ტვინი გაბურღეს სასწრაფოდ! ჩქარა! უკან გადმორიცხეო – გეგონება, დიდი თანხები ეკარგებოდათ.

სირცხვილი! 21 წელი ვმოღვაწეობ და ასეთი მდაბიო საქციელი ჯერ არ მახსოვს.

თანხა, რა თქმა უნდა, უკან ჩავურიცხე, დამპირდნენ, კონცერტს რომ ჩავატარებთ, ისევ დაგიძახებთო.

# ანა ახვლედიანი ათენის პოდიუმზე გამოვიდა



ქართველი მოდელი ანა ახვლედიანი პირველად გამოვიდა საზღვარგარეთ გამართულ ჩვენებაზე. ანა საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ახალბედა დიზაინერების ჩვენებაზე მიიწვიეს, სადაც 13-მა მემოდელემ საკუთარი კოლექციები წარმოადგინა.

ქართველმა ლამაზმანმა ორი დიზაინერის ჩვენებაზე გაიარა სრულიად შეცვლილი იმიჯითა და ორიგინალური კოსტიუმებით. ანა ფოტოსესიებით არის დაკავებული. ის მხოლოდ ორჯერ გამოვიდა პოდიუმზე და ისიც თბილისში.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ქალბატონი ციალა კალმახელიძის გახსენება

### ორმოცი დღის შემდეგ

ჩემო უერთგულესო მეგობარო, რა ძნელია ჩემთვის შენი გარდაცვალება, როგორი მოუშუშებელი ტკივილი მოგვაყენე შენს მეგობრებს, ყოფილ თანამშრომლებს, ახლობლებს, რომლებიც ყველა სფეროდან გყავდა.

განსაკუთრებით გული ატკინე შენს ძმას, ბატონ დავითს – სანუკვარ დათოსა და მისი ოჯახის კეთილშობილ წევრებს.

შენ გამორჩეული და მისაბაძი პიროვნება იყავი, უმაგალითო ტაქტის მქონე, ღრმად მორწმუნე, უზომოდ მიმტევებელი, შენი ქვეყნის პატრიოტი, თავმდაბალი, განათლებული, ხელოვნების ყველა დარგის მოყვარული, განსაკუთრებით საოპერო და საბალეტო თეატრის.

გასაოცარი იყო შენი უანგარო, ჩუმი ქველმოქმედება. ყველა გაჭირვებულის დამხმარე ნაცნობისა და უცნობის. მეც დიდად დავალებული ვარ შენგან.

შენ იყავი თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი (ქალაქის გაერთიანებული საბიბლიოთეკო ქსელის), ნამდვილი პროფესიონალი. გამოირჩეოდი თანამშრომლებთან კარგი ურთიერთობით.

2015 წელს გამოიცა წიგნი „ქალი სათნოება“, სადაც მოთავსებულია სიყვარულითა და მადლიერებით აღსავსე წერილები და ლექსები შენ შესახებ. ამ წიგნიდან მოვიყვან ერთ ამონარიდს. ქალბატონი ციალა და უწმინდესი და უნეტარესი ილია II დიდი ხნის ნაცნობები იყვნენ და აი, რას წერს იგი შენ შესახებ: „ქალბატონი ციალა საოცარი გულშემატკივარია ჩვენი ერის, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი კულტურის“.

შენ დიდი ძალისხმევა გამოიჩინე უბინაო, ხანდაზმული ბიბლიოთეკარების მიმართ. ერთ-ერთი ბიბლიოთეკის მე-3 სართულზე კეთილმოწყობილ რვა ოთახში დააბინავე თექვსმეტი მარტოხელა ბიბლიოთეკარი უნიკალურ სათნოების სახლში. უცხოელთა დელეგაციის შეფასებით, ასეთი სათნოების სახლის მსგავსი მსოფლიოში არ არის.

შენ წლების განმავლობაში უამრავი ჯილდო და სიგელი გქონდა მიღებული, მათ შორის, საბიბლიოთეკო ასოციაციის საპატიო სიგელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის მერიის მიერ 2013 წელს თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩევა, ხოლო 2014 წელს იმედის გმირის ნომინანტი გახდი.

ქვეყნად არიან უმადური და დაუნახავი ადამიანებიც. ზოგმა შენი სიკეთე ვერ დააფასა, ხოლო ზოგმა შენი ღვაწლი სათანადოდ ვერ შეაფასა, რითაც გული გატკინეს. შენ, როგორც გჩვეოდა, დიდი მოთმინება გამოიჩინე, მაგრამ გულდაწყვეტილი წახვედი ამქვეყნიდან. შენი მოულოდნელი გარდაცვალება, ალბათ, ამან გამოიწვია. ყველას თავისი მიეზღვება, შენი სახელი კი მარად იცოცხლებს ახლობლებისა და მადლიერი ადამიანების გულში.

*შენი ერთგული და დამწუხრებული მეგობარი*
*ნანული გოგატიშვილი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ქეთი დოლიძე და ასმათ ტყაბლაძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ



კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი ქეთი დოლიძე და მარჯანიშვილის თეატრის ყოფილი მსახიობი ასმათ ტყაბლაძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. დაპირისპირების მიზეზი პოლიტიკა გახდა, თუმცა მათ ერთმანეთს პიროვნული შეურაცხყოფაც მიაყენეს.

ტელეკომპანია „იბერიის“ ეთერში მსახიობმა და რეჟისორმა ლეიბორისტული პარტიისა და „ქართული ოცნების“ დაპირებები განიხილეს, მოგვიანებით კი ერთმანეთის ლანძღვა დაიწყეს.

**ქეთი დოლიძე:**

– მსახიობად შენ არ ვარგიხარ, ადამიანად შენ არ ვარგიხარ. რესტორნებით ხარ სავსე... სამი რესტორანი გაქვს... არარაობა, თახსირი დედაკაცი ასმათ ტყაბლაძე. ოთარ მეღვინეთუხუცესის მკვლელი! არასდროს არავისთან არ ვჯდები ეთერში. რომ მცოდნოდა, „იბერია“ ასეთ „სიურპრიზს“ მომიმზადებდა, არ შევიდოდი ეთერში.

**ასმათ ტყაბლაძე:**

– ქალბატონი ქეთი ამბობს, არარაობა ხარო და ძალიან ეშლება. თუ უნდა, მე დავუმტკიცებ, ვინ არის არარაობა, ვინ იყო და ვისთან შეუძლია ყოფნა არარაობით. არარაობა ის არის, ვინც ატყუებს ადამიანებს. თვითონ არ იყო, რომ მარჯანიშვილის თეატრის ბიუჯეტი ფესტივალისთვის გამოიყენა? არ ეუბნებოდა მსახიობებს, ხელფასები გაყინულიაო? ყოველ მთავრობასთან მიდის და ყველა მთავრობას ფულს სთხოვს, სახლი გამომისყიდეთო. 1.800 ლარი თეატრის ბიუჯეტიდან მობილზე გადარიცხა. არ რცხვენია? ვინ ჰგონია თავისი თავი? ჩემზე უკეთესი ბრძანდება? უსინდისო ქალბატონი ბრძანდება! აფერისტკა! ერთი მატყუარა დედაკაცია!

# ქართული ფილმი მიჩიგანის კინოფესტივალის ფინალისტია




ცენტრალური მიჩიგანის საერთაშორისო კინოფესტივალი ერთ-ერთი გამორჩეული კულტურული მოვლენაა კინოსამყაროსთვის.

ფესტივალი ცენტრალური მიჩიგანის სამაუწყებლო და კინოხელოვნების უნივერსიტეტისა და ცენტრალური მიჩიგანის ფილმის საზოგადოების მხარდაჭერით ტარდება.

წელს კინოფესტივალის ფინალისტთა შორის ქართული ფილმიც აღმოჩნდა. რეჟისორ სანდრო სულაძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „თუთა“ ცენტრალური მიჩიგანის საერთაშორისო კინოფესტივალის ფინალისტია.

მთელი მსოფლიოდან საუკეთესო მოკლემეტრაჟიან ფილმებს ფესტივალი 10-19 თებერვალს უმასპინძლებს.

ფილმში „თუთა“ გაუკაცრიელებულ, მთებში მიკარგულ სოფელში გამოკეტილი 17 წლის თუთა მშობლიური სახლიდან წასვლასა და საკუთარი ცხოვრების დაწყებაზე ოცნებობს.

# თელავში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება




თელავში მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება. 15 ოქტომბრის ჩათვლით, საფესტივალო ღონისძიებები თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩატარდება, რომელსაც კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე დაესწრება.

ფესტივალი წელს მასშტაბური პროექტის ჩექ ინ ჯორჯიას ფარგლებში ტარდება. გასული საუკუნის 80-იან წლებში ცნობილი პიანისტის ელისო ვირსალაძის მიერ დაარსებული ფესტივალი 6 წლის წინ განახლდა და მას შემდეგ ყოველწლიურად კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება.

ფესტივალი თელავში სხვადასხვა თაობის მსოფლიო რანგის არაერთ მუსიკოსს მასპინძლობს. წლევანდელი პროგრამა XX საუკუნის ცნობილი მევიოლინის ოლეგ კაგანის 70 წლისთავს ეძღვნება, რომელიც ფესტივალის დაარსების ერთ-ერთი თანამოაზრეა ელისო ვირსალაძესა და ნატალია გუტმანთან ერთად.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ლონდონის კლუბში გოგონა სიმსუქნის გამო არ შეუშვეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– უბრალოდ, დავიბენი, – განაცხადა გოლდსმიტმა ჟურნალისტებთან საუბარში, – დაცვის თანამშრომელმა თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა და მითხრა, რომ მეტისმეტად მსუქანი ვიყავი. მან დაბადების დღე გამიფუჭა.

– ვერ ვიტყვი, რომ ამან ჩემზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. მე სრულიად წესრიგში ვარ, მაგრამ ბევრ სხვა გოგონას ასეთი საქციელი ძალზე გაანაწყენებდა, – განაგრძო გოგონამ და აღნიშნა, რომ დღევანდელ დღეს, 2016 წელს, ამგვარი დისკრიმინაცია საზიზღრობა და სრულიად უადგილოა.

გოგონას დედამ განაცხადა, რომ ის აღშფოთებულია კლუბის დაცვის თანამშრომლის საქციელით და არ ესმის, ასეთი რამ რატომ უნდა მომხდარიყო: მისი ქალიშვილის ტანსაცმელი 10 ზომისაა. ის ჩერლიდერსის ჯგუფის წევრია (გოგონები, რომლებიც სპორტული შეჯიბრების შესვენებების დროს სატანვარჯიშო ნომრებს ასრულებენ).

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# პროგრამა

**ოთხშაბათი**
**10 ოქტომბერი**

**06.00, 14.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **07.00** დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. თქვენი სხეულის წამალზე დამოკიდებულება" **08.00** ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **12.20** მხ/ფ "**ყოვლისშემძლე ევანი**" **15.00, 03.50** "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა" I ნაწ. **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" I სერ. **22.00** "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** მხ/ფ "**აფრიკიდან**" **01.50** მხ/ფ "**წყვილების კუნძული**"

**08.00** დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** მხ/ფ "**მერვე გვერდი**" **12.00** ტ/სერ. "**ცოდვა და სირცხვილი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **15.00, 17.00, 19.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "კატასტროფა ანდებში" **18.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის საიდუმლოებანი**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" 1 სერ. **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ღია ეთერი–თოქ შოუ **23.30** მხ/ფ "**საუკეთესო მსროლელი**" **01.45** მხ/ფ "**სამარცხვინო გასეირნება**" **03.20** მხ/ფ "**შავი წვიმა**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**დედოფლის სევდა**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** არჩევანი - **2016 00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS **8.00** ან/ფ "**ვარსკვლავური ომები**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 1.55** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** ცოლები და ქმრები **17.30** სერ. "**ახალი გოგო**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** მხ/ფ "**პიკასოსთან ცხოვრება**"

**06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი-უსამართლოდ მდევნელის სასჯელი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**იავნანა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა "ნეკერჩხალი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** ერთხელ ბავშვობაში **16.25** სპექტაკლი **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**გიორგობის თვე**" **20.40** ძილი ნებისა "ლომი და კატა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი-უფალი მცირე ღვაწლსაც არავის უკარგავს **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ქვიშანი დარჩებიან **01.00** დ/ფ "კაცხის სვეტი" 1 ნაწ. **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30, 2.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ტატიანა**" **10.05, 19.05** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.05, 13.00** სერ. "**ვერონიკა**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **14.05, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** "კონტაქტი" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.35, 2.00** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**გემი**" **21.40** "ღამის კონტაქტი" **23.10** სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

10 ოქტომბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.3337 |
| ევრო | 2.5986 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2.8852 |
| 100 რუსული რუბლი | 3.7382 |

**ამინდის პროგნოზი 10 ოქტომბრისთვის**





## 12 ოქტომბრიდან




**კახეთი**

**გზამკვლევი**

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**


## იუმორი



ცოლი ქმარს ეკითხება:

– სად იყავი?

– თანაკლასელების შეხვედრაზე.

– სამი დღე???

– ვიხსენებდით...

– რას?

– ჩემს მისამართს!

•••

ერთი ნაცნობი მეორეს ეკითხება:

– როგორ უნდა განვსაზღვრო, სადაა ჩრდილოეთი და სად სამხრეთი?

– მაგას რა უნდა, ნაძვი ჩრდილოეთია, პალმა – სამხრეთი.

•••

სოფელში დაბრუნებულს თანასოფლელი ეკითხება:

– 15 დღით რისთვის იყავი დაპატიმრებული?

– გედებს პურის ნამცეცებს ვუყრიდი.

– მერე, მაგაში რა არის კანონსაწინააღმდეგო?

– ოპერაში ბალეტ „გედების ტბას“ ვესწრებოდი.

•••

ორი დაქალი ოთახში ზის. ერთი მეორეს ეუბნება:

– გინდა ფოკუსი გაჩვენო?

– მიდი, აბა!

– ხომ ხედავ, შუქი ანთია?

– ვხედავ!

დაქალი მივიდა გამომრთველთან, შუქი გამორთო და ეუბნება:

– აბა, თუ მეტყვი, შუქი ახლა სად არის?

– არ ვიცი!

დაქალი მაცივართან მივიდა, კარი გამოაღო და ეუბნება:

– აი, აქ არის!!!

•••

გოგონა პოლიციაში მივიდა და მორიგე პოლიციელს ეუბნება:

– ძალიან მიყვარს სექსი. ის ენით აუწერელ ექსტაზში მაგდებს, უდიდეს აღმაფრენას მანიჭებს, ჩემში ყველაფერი დუღს, სექსს ჭკუაზე შეშლამდე მივყავარ. ველური სიამოვნება ჩემში ბომბივით ფეთქდება, რომელიც გასაგიჟებელ ორგაზმში გადადის და მაშინ გონებას ვკარგავ. ამ ყველაფერს კი ღამეში 50-ჯერ განვიცდი.

– მერე, ჩვენთან რატომ მოხვედით? ექიმს მიმართეთ.

– მეზობლებს ჩემი მოკვლა უნდათ.

•••

რუსი რესტორანში შედის და ოფიციანტს ეუბნება:

– ბოთლი არაყი და რაიმე თქვენი გემოვნებით.

– ე.ი. ჩავიწეროთ, ორი ბოთლი არაყი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 11 ოქტომბრიდან

**ელისი საოცრებათა ქვეყანაში**

**ფერადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით**

ინგლისელი მათემატიკოსისა და მწერლის ლუის კეროლის ზღაპარი „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ პირველად 1865 წელს გამოიცა და დღემდე უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

ერიკ კინკეიდის შესანიშნავი ილუსტრაციებით გაფორმებული ეს ზღაპარი დაუვიწყარ მოგზაურობას გპირდებათ საოცრებათა ქვეყანაში.




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 6 ოქტომბრიდან

**ჩემი პირველი სიტყვები**

**ჩემი დღე**

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**




## 18 ოქტომბრიდან

**ოლივერ ტვისტი**

**ფერადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით**




ჩარლზ დიკენსის კლასიკური ნაწარმოები „ოლივერ ტვისტი“ პირველად 1838 წელს გამოიცა და მას შემდეგ უამრავ მკითხველს შეაყვარა თავი.

ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარში დაბადებული ობოლი ბიჭუნას ამაღელვებელი თავგადასავალი ყველას ერთნაირად აუჩუყებს გულს.

წიგნი ერიკ კინკეიდის ილუსტრაციებითაა გაფორმებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**




## 7 ოქტომბრიდან

**ქართული ხალხური ზღაპრები**

**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

**მაგარი ყდა, ფერადი გვერდები**


## დუბაიში არაბული მოდის კვირეული გაიხსნა

6 ოქტომბერს დუბაიში არაბული მოდის კვირეული გაიხსნა და ის 10 ოქტომბრამდე გაგრძელდება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი არაბული ვებგვერდი ავრცელებს.

არაბული მოდის კვირეული ჩაფიქრებულია, როგორც ახალი ღონისძიება მოდის კალენდარში, რომელშიც უკვე არის ნიუ იორკი, ლონდონი, მილანი და პარიზი. პირველი ფორუმი 2015 წლის შემოდგომაზე გაიმართა, მეორე – მიმდინარე წლის გაზაფხულზე.

ალსანიშნავია, რომ მასში მონაწილეობენ არა მხოლოდ ადგილობრივი დიზაინერები, არამედ ცნობილი ბრენდებიც მთელი მსოფლიოდან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## ლონდონის კლუბში გოგონა სიმსუქნის გამო არ შეუშვეს

ბრიტანელმა ბობი ჯო გოლდსმიტმა ვერ შეძლო, საკუთარი მე-20 დაბადების დღე ლონდონის კლუბ ლიბერთაიმში აღენიშნა და ეს, მიუხედავად იმისა, რომ მაგიდა თავისთვის და მეგობრებისთვის ადრევე დაჯავშნა. ფეისკონტროლზე დაცვამ გოგონა მეტისმეტად მსუქნად ჩათვალა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე



## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ხმის რხევა, ნარნარი; 4. ბალახოვანი მცენარე, რომლის ნორჩი ყლორტებისგან მხალი კეთდება; 7. ბედი, იღბალი; 9. ჭადრაკის ფიგურა; 12. მფრინავი; 13. ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 14. გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი (XIX ს.); 17. დენის ძალის საზომი ერთეული; 18. შტატი აშშ-ში; 19. ნამუსი; 20. მიცემითი ბრუნვა (გრამატ.);

**შვეულად:** 1. უბანი თბილისში; 2. ტოლგვერდა ოთხკუთხედი; 3. ბერძნული ანბანის ასო; 4. მოკლე სადღეგრძელო; 5. მსხვერპლად შესაწირავზე იტყვიან; 6. საათი, რომელიც კნოპზე დაჭერით რეკავს; 8. დიდი ბრიტანეთის ფელდმარშალი (1887-1976 წწ.); 10. სტუდენტთა გაერთიანების წევრი გერმანიაში; 11. მეჯლისი ნიღბებითა და გამორჩეული ტანსაცმლით; 14. ძაღლი ფილმიდან „კუჩხი ბედინერი“; 15. პურის მცხობელი (ძვ.); 16. მამათა დიდი მონასტერი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი